ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიორაძე თამაზ მიხეილის ძე

# მოგონებები

თბილისი — 1985 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაგელოცოს ფუძე ჩემო იმერეთო
ჩემო ღმერთო, ჩემო ერთადერთო.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები მოსკოვში. ჩვენი მწერლები მიდიან საიუბილეო სხდომაზე. გალაქტიონმა ერთი ახალგაზრდა შეაჩერა:

- ყმაწვილო თუ სწერთ ლექსს, მოთხრობას, რომანს?

- არა, არ მიცდია

- დასწერეთ რა გენაღვლებათ - ესენი, - მოუბრუნდა გალაქტიონი ჩვენს მწერლებს, ყველა სწერს - თქვენც დასწერეთ.

მართლაც, არა ერთი არამწერალი წერს, მეც გავბედე. ხომალდის კაპიტანს თუ აქვს ამის უფლება - მე, ათეული წლების მანძილზე საკმაოდ დიდ საწარმოს ვედექი სათავეში, რომელიც მოცულობითა თუ შინაარსით ნებისმიერ ხომალდს აღემატებოდა.

დავიწყოთ წინაპრებიდან.

ბაბუა ტრიფონი ძმები მისი, პეტრე, ამბაკო, პორფილე (მათი მეუღლეები ნუცა, ერმონი, ანეტა, კეკელა) ვაჭრები იყვნენ, ღვინისა და მანუფაქტურის დუქნები ჰქონდათ ძირულაში, ზესტაფონში, ჭიათურაში, თბილისში. მათი სახლები ერთ პატარა უბანში იყო განლაგებული ერთმანეთის გვერდით. საინტერესოა რომ რევოლუციამ ძმები ნებაყოფლობით შემოაბრუნა, პირველნი გაერთიანდნენ კოლმეურნეობაში - ბაბუა ტრიფონი კი მისი პირველი თავმჯდომარე გახდა.

მათ არაფერი განსაკუთრებული არ გააჩნდათ სხვებისაგან გამორჩეული. საშუალო ზომის სახლები, უბრალო ავეჯი, თითო ხელი"შარვალ-ხალათი", ჩოხა, ჩიხტიკოპი და ერთაოერთი რაც ბებიას საგარეოდ-გამოსასვლელად ჰქონდა ფრანგული "ლიონის" შარფი. დიდი ხნის შემდეგ ჩემმა ბიძაშვილმა პეტრემ საკუჭნაოში პეტრე ბაბუას დუქნის შემოსავალ-გასავლის დავთარს მიაგნო-ჩანაწერებით-გაცემულია ნისიად. დაბრუნების აღნიშვნა კი არსად არ ჩანს. გაჭირვებული ხალხის მეტი რა იყო ძირულის დემში. ჰოდა, ვერ უბრუნებდნენ პეტრე

ბაბუას ვალს. ის კი არ სთხოვდა. საინტერესოა როგორ გამოიყურებოდა მისი დუქნის ბალანსი.

ეხლა ნებისმიერი მაღაზიის ნოქარი ცხოვრობს ათჯერ უკეთესად.

ძმები შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. მათი მეუღლეები დღის განმავლობაში შეიძლება რამდენჯერმე შეხვდრონენ ერთმანეთს წყაროზე. რიტუალი მოითხოვდა, რომ სალამოს ჩოხებში და ჩიხტიკოპებში გამოწყობილნი ოფიციალურად ხლებოდნენ რომელიმე ძმის ოჯახს რიგრიგობით.

ჩვენი იმერული ეზო – როგორც სავალდებულო ატრიბუტი ასწლოვანი კაკლის ხეები, დასავლეთ საქართველოს კარმიდამოს კულტი "კოინდარი", ღობეზე გავლებული ბზის, თხილის ბუჩქები, ვენახის თავზე პატარა ზომის ქარვისფერი ატამი, ეზოს შუაგულში თვალუწვდენელი ცაცხვი, მარანთან დაფნა. მარანს გარს ერტყმის "ადესის" ჯიშის ვაზი, ჭურები მწკრივში 200 ფუთიანიდან დაწყებული თხუთმეტ ფუთამდე. მარანში პეტრე იტალიელის გამოთლილი წითელი მარმარილოს მაგიდა ერთ ფეხზე. ბაბუას ხარები "კოხტა" და კვარტა, ხელნა და მარხილებიანი "აჩაჩა" ურმები.

ერმონი და ნუცა ბებიას დაყენებული წითელი შუა სახარჯო ღვინო ოცხანური საფერავით შეზავებული.

მდინარე ძირულის გაღმა მთის კალთაზე ულამაზესი სოფელი სამება, ფერდობზე თვალუწვდენელი მუხნარი.

ბებია – ნინუცა საჩინოს ასული ვაშაძე, ჭიათურის ქალაქის თავის საჩინო ვაშაძის ქალიშვილი, ქორწილისა თუ ლხინის მთავარი კონსულტანტი კულინარიაში. საოცარი პურმარილის ავტორი. ხაჭაპური, საფირმო მჟავე პრასი, დერგში დამჟავებული მწვანილეულობა, კეცზე შემწვარი წიწილი – აი არას – რული სია იმერული მენიუსი.

ბებია იგონებს: ბაბუასა და მის ძმებს ნიკო ფიროსმანი ჩამოუყვანიათ ჯერ ზესტაფონში, შემდეგ ძირულაში დუქნების მოსახატავად. ფიროსმანმა შექმნა ძირულაში ცნობილი ტილო "გვიმრაძეების ქეიფი ძირულაში". ძირულაში გვიმრაძეებს არ უცხოვრიათ. ეს ტილო ნიორაძეებს ეკუთვნის. ძმებმა ინკოგნიტოდ დარჩენა არჩიეს რატომღაც. ბებიამ სულ რაღაც ორწელიწადში დაჰკარგა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხი ძმა სამი შვილი. მათი უმრავლესობა ძალმომრეობის, განუკითხაობის მსხვერპლი გახდა.

დღეს ერთ სიაში ირიცხებიან, ერთად იხსენიებენ იმათაც, ვინც უსამართლოდ განადგურდა და იმათაც ვინაც განადგურებაში მონაწილეობდნენ. აბელ ენუქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, მალაქია ტოროშელიძე, შამშე ლეჟავა, ლავრენტი ქართველიშვილი, გერმანე მგალობლიშვილი, ვლადიმერ ჯიქია, საშა ახმეტელი, მამია ორახელაშვილი... ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

... პარტიის რაიონულ კომიტეტში ვმუშაობ. დაგვირეკეს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი ვინმე პეტროვი; გაუკეთეთ ორგანიზაცია დაკრძალვას. ეს პეტროვი თურმე იმ წლებში სიკვდილის განაჩენის აღმსრულებელი ყოფილა. დავავალეთ რაიკომის თანამშრომელს ვოვა გრიგორიევს სასაფლაოს ორგანიზაცია. მოვიდა სთქვა - სასაფლაო შევარჩიე კუკიაზე. ისეთია მზე შიგ შუბლში ურტყამს. ვასაფლავებთ პეტროვს, ვოვას აერია საფლავები, გვერდზე სხვა საფლავში დავასაფლავეთ. მეორე პროცესია მოგვადგა. ნახეს საფლავი ათვისებულია.

- ვა დავბერდი კაცი - ამბობს ერთი ჭირისუფალთაგანი იმ მეორე პროცესიიდან ასეთი რამ არც მინახავს არც გამიგია. ალბათ ბევრს გვირტყამდნენ, მაგრამ მილიცია გვახლავს უფროსის ნოდარ კომახიძის მეთაურობით. დასჯერდნენ მეორე საფლავს. ნაძირალა პეტროვს სხვისი საფლავი მაინც ეღირსა, ჩვენ კი განადგურებული ადამიანების შთამომავლებმა ჩვენი წინაპრების საფლავები არც ვიცით სადაა. ბებია ღმერთს ევედრებოდა ისე ნუ მომკლავ ორი დიდი კაცის სიკვდილს რომ არ მომასწრო. მოესწრო, ბებია ცოტა მოგვიანებით გარდაიცვალა.

ბებიას და ბაბუას სახელოვანი ძმები და ახლობლები ჰყავდათ. ძმები გალაქტიონ და ალექსანდრე ვაშაძეები, ძველი ბოლშევიკები პარტიის წევრები 1903 წლიდან. დამთავრებული ჰქონდათ პეტერბურგისა და ჟენევის უნივერსიტეტები. ალექსანდრე 1911 წელს ჟენევაში რუს სოციალისტთა საზოგადოებას ედგა სათავეში, ხოლო შემდგომში საფრანგეთში ქ.მონპელიეში ირჩევენ ბოლშევიკური სექციის მდივნად. 1913 წელს ისევ ჟენევა, სადაც პირველად ხვდება ლენინს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ისე ახლოს ყოფილა ლენინთან, რომ შვეიცარიიდან იტალიაში ბელადს ლეღვს ველოსიპედით უზიდავდა. ასეთი ეპიზოდიც - შორაპანის სამაზრო კომიტეტის ეზო. ახალგაზრდა კომუნისტები დომენტი მშვენიერაძე, ტერენტი შარიქაძე, მიხეილ ნიორაძე, ცხენით მოსულ ალექსანდრეს განგებ არ აქცევენ ყურადღებას. ვერ ამჩნევენ დომენტი ყავარჯენს დაყრდნობია. სროლის ხმა გაისმა, ყავარჯენი გაფრინდა.

- ეხლაც ვერ მამჩნევთ? - ეღიმება ალექსანდრეს საოცარი აღნაგობისა და იარაღის განუშორებელ მხმარებელ კაცს. მას შეეძლო მოძრავი ავტომანქანიდან ნებისმიერი ფრინველის ჩამოგდება.

- გალაქტიონი - ცნობილი ფინანსისტი შემდგომში საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი.

- კარპე მოდებაძე - ტრესტ ჭიათურმარგანეცის - პირველი მმართველი, შემდგომში საბჭოთა ქვეყნის სავაჭრო წარმომადგენელი პარიზში.

- დონიკა ჩიხლაძე - ცნობილი ფილოლოგი - უცხო ენების ბრწყინვალე სპეციალისტი - დამთავრებული ჰქონდა ჟენევის უნივერსიტეტი.

- რაფიელ ჩიხლაძე - დაამთავრა ყაზანის უნივერსიტეტი - მევენახეობისა და მეფუტკრეობის თვალსაჩინო მოღვაწე იმერეთში. ცნობილი სპეციალისტის სტაროსელსკის ახლო მეგობარი.

- კოწია მოდებაძე - მეღვინეობის ფაკულტეტი დაამთავრა პარიზში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობა-მევენახეობის ფაკულტეტის ერთერთი დამაარსებელი, მისი პირველი დეკანი. კოწია ბიძია ყოველ წელს ჩამოუვლიდა ხოლმე ყველა ღვინის ქარხანასა თუ მარანს. პირადად ამოწმებდა ღვინის ხარისხს. ყველგან ხომ მისი ყოფილი მოწაფეები მუშაობდნენ.

- გიორგი ნიორაძე - დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი, არქეოლოგიის ერთერთი ფუძემდებელი საქართველოში. გიორგის მამა ყაფლანი შეძლებული ვაჭარი გახლდათ. სურვილი ჰქონდა შვილიც მის კვალს გაჰყოლოდა. მაგრამ გიორგიმ სწავლა აირჩია. რაღას იზამდა მამა დათანხმდა. გერმანიაში გაამგზავრა. გამგზავრების წინ დიდი ნადიმი გადაუხადა. ყაფლანის ეზო, კოინდარი, დიდი მუხის ქვეშ სუფრაა გაშლილი. თავი მოუყრიათ საქართველოში ცნობილ საზოგადოებას - თამადაა შალვა დადიანი. ასე აცილებენ გიორგის. ექვსმა წელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე განვლო, რომ გიორგი არდადაგებზედაც კი არ ჩამოსულა სახლში. დაამთავრა გიორგიმ უნივერსიტეტი ბრუნდება სახლში. მამამ ახლა დაბრუნების აღსანიშნავი, ნადიმი მოაწყო.

შეალო გიორგიმ ჭიშკარი ხედავს იგივე ხალხია სუფრასთან, რომ აცილებდნენ – თამადა ისევ შალვა დადიანი.

– კი მაგრამ ბატონებო თქვენ მას აქეთ აქა ხართ ჯერ არ წასულხართო? იოხუნჯა გიორგიმ. ეს ოხუნჯობა გაზეთ "დროებას" გამოუქვეყნებია.

ბიძაჩემი დავით პეტრეს ძე ნიორაძე ძირულის თემის ექიმი. ოხუნჯი ცნობილი თამადა. შექმნილი პირობების მიხედვით ყველა საექიმო დარგის სპეციალისტი. (თემში მის გარდა სხვა ექიმი არაა) პატარა საავადმყოფოს დამაარსებელი (რომელიც შემდგომში გაუქმდა) ნასვამობას ვამჩნევთ როცა სიმღერებს "Бродяга" და ღარიბო კაცოს წამოიწყებს.

მოიდარო კაცო რა კარგი ხარო
ყველას უნდიხარ
გპატიჟებენ პურმარილზე
სულ სუფრის თავში ზიხარო,
მტყუანი ხარ მაინც მართალი ხარო
ღარიბო კაცო მართალი ხარ მაინც მტყუანი
ხარო
სუფრის ბოლოს ზიხარო.

კეკელა ბეჟიამ სთხოვა დავითს:

– ბიჭო დათიკო, ათასი რამე მაწუხებს, მართალია შენ ექიმი ხარ, მარა სხვასაც გამასინჯე, იქნება მომიხდესო. წაიყვანა დავით პეტროვიჩმა კეკელა ცნობილ დოსტაქარ კუიავსკისთან.

–უთხარი ახლა ბიცოლა რა გაწუხებს.

– აქიდან თავიდან რომ დეიწყებს ჯერ შემახიცინებს, მერე შემაბიჟვინებს, მერე წამოვა ზევიდან რაღაცა ყრუალ-ყრუალით, ბუუალბუუალით და გეიშლება ქოლგასავით.

– უიმე ბიცოლა ახლავე რომ მოკვდე მაგის მთარგმნელი ეშმაკიც არ არის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბაბუა /დიდის მამა/ ვარლამ ჩიხლაძე. ყველაზე პატარა ძმებში და ამიტომ სახლში დასტოვეს და მხოლოდ წინამძღვარიანთ სასწავლებლის დამთავრება ერგო წილად. არადა ბაბუა ყველაზე ნიჭიერი გამოდგა. ზეპირად იცოდა "ვეფხის ტყაოსანი". ბარათაშვილი, გურამიშვილი, სპარსელი ლირიკოსები, სულხან-საბა ორბელიანი. ბაბუაზე არაერთი წერილია გამოქვეყნებული, როგორც ხალხურ მთქმელზე ჟურნალ " Огонёк -ში народный сказатель из села Шроша" და რესპუბლიკის თითქმის ყველა გაზეთში. ჟურნალმა ნიანგმა ერთერთ საახალწლო ნომერში იგი თავის კორესპონდენტად დანიშნა:

სურამ-ძირულის ხეობას ფლობდის
ვარლამ ჩიხლაძე, ძველი ჭაღარა
მან არა ერთხელ მსუქანი ღვინით
მე მომალხინა და გამახარა.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს მაგნიტაფონზე აქვს აღბეჭდილი ბაბუას სიმღერით ნათქვამი ნაწყვეტები "ვეფხის ტყაოსნისა" - ასე უმღეროდნენ მოახლენი პოემას დედოფალს.

ბაბუას არაერთი ლექსი აქვს დაწერილი ელექტრონის მნიშვნელობაზე /გაცილებით უფრო ადრე ვიდრე გოელროს გეგმა დამტკიცდა ჩვენში/.

ანტირელიგიური ლექსი: რას აკეთებს გრძელი წვერი
ანუ საცეცხლურის ქნევა
ტანზე კიდევ ფართოდ ჩაცმა
კაცისათვის ხელზე მთხვევა.

დღეში საშუალოდ ხუთ-ბოთლიანია. შეისწრო ბებიამ მარანში - ორშიმით სვამს.

- მე კაცო ახლა არ გითხრა არც ერთი ჭიქა ღვინო არ დალიოო ექიმმა.

- იმან ბოშო ჭიქა მითხრა ორშიმო კი არ უხსენებია. კარგად ვიმუშავე დღის, ბევრიც დავლიე საბაც გადავიკიდე, ბევრსაც ვიძინებ, ამბობს ბაბუა, ომარ ხაიამს იმეორებს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარდაფში შევიარე ვნახე მოხუცი
დოქით ხელში ღვინით გალეშილი
ვკითხე ღვთის არ გრცხვენია, ეგრე როს დაძაბუნდი
მითხრა ღვთის წყალობაა დალიე და გაჩუმდი.

ბაბუა მონაწილეა სტაროსელსკისთან ერთად ფილოქსერის საწინააღმდეგო "მწარე ლერწის" დანერგვისა იმერეთში. ერთი ხალათ-შარვალი აქვს სანამდე არ გაცვდება, მეორეს არ იყიდის. სოფელში თავკაცადაა მიღებული. არაოფიციალური მოსამართლეცაა. სულ ეხვეწება ბებია – ნუ წახვალ კოლმეურნეობის კრებაზე. შენი ამბავი რომ ვიცი აუცილებლად აწყენიებ ვინმეს, გადაიკიდებ ხალხს. ბაბუა მაინც არ იშლის.

•კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოლია შველიძე ეკითხება:

– ლექსებს სწერ, ნიანგის კორესპონდენტიცა ხარ ამდენი ხანია თავმჯდომარე ვარ და ჩემზე არაფერი დაგიწერია.

– მე ჩემო ძმაო იმ ხალხზე ვწერ – ვინც ან აკეთებს რამეს და ან აფუჭებს. შენ არც ერთი შეგიძლია და არც მეორე. რა უნდა დავწერო?

ბაბუა 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა მოსკოვში. 1933–1935 წლებში მან გაუკეთა ორგანიზაცია შროშის წითელი მარმარილოს გადატვირთვას მოსკოვში, მეტრომშენისათვის. შროშის მარმარილო მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი რიგის სადგურების მოსაპირკეთებლად დიდი რაოდენობითაა გამოყენებული.

ბაბუა ჭიათურაში დაუპატიჟებიათ ქორწილში. ქორწილის თამადად გამოუცდელი კაცი აურჩევიათ. შეეკითხა თურმე ბაბუას როგორი წესით სჯობია წარვმართო სუფრა.

სადღეგრძელოების წესი ორგვარია უთქვამს ბაბუას; ლობური და ამორჩევით. ამორჩევით უნდა აირჩიო საპატივცემულო ხალხი, ლობური კი დაიწყებ შენ ხელმარჯვნივ და გაჰყვები ბოლომდე.

– ეგ ჯობია, იოლია.

დაუწყია თამადას ბაბუასაგან, რომელიც მარჯვნივ ზის. ამტყდარა ქორწილში. ალიაქოთი სროლა, თურმე პირველი სადღეგრძელო პრისტავის უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეისვას.

მეზობელი ვლადიმერ გაჩეჩილაძე შეხვდა ბაბუას გზაში ტანმორჩილი კაცი.

ვარლამო კოტროულა გამევიარე (ღელესავით მდინარეა) ისეა მოდიდებული კისრამდე მომწვდა კინაღამ დამაღრჩო:

– შე კაცო შენ თუ კისრამდე მოგწვდა დამშრალა და ეგ არი.

ხაშურის ბაზრიდან ბრუნდება ბაბუა. წიგნები უყიდია, სხვა არაფერი. ეზოში შემოდის თავისივე ორ ინდაურს წაატანა ხელი. ამოიღლიავა, აი ზინობია , ბებიას ეუბნება სხვა ვერაფერი ვიშოვე. დილას ბებია ინდაურებს ითვლის არ მომატებია ისევ იმდენია, მაგრამ უკვე ხანმა განვლო რისხვა გამოუნელდა ბებიას. ბაბუა გადარჩა.

ალბათ ბევრს შეუმჩნევია თბილისის სადარბაზოებში მოზაიკის ნახელავი ბაქნები კიბის საფეხურები. ბევრ მათგანს წარწერა აქვს ისევ მოზაიკით შესრულებული "ანდრიოლეტი" – ეს ოსტატის გვარია წარმოშობით იტალიელისა. ძმები ყოფილან. ერთი ძმა პეტრე ანდროლეტი მარმარილოს საბადოსთან ახლოს დარჩენილა. დასაფლავებულია შროშაში ქედის ეკლესიის ეზოში. არა ერთი მისი ნახელავია შემორჩენილი. პეტრე ბაბუას განუყრელი მეგობარი გამხდარა. იტალიელებს და ქართველებს სხვა თვისებებთან ერთად ღვინის სიყვარულიც აერთიანებთ.

ზესტაფონი:

ზესტაფონს ნიშნად ჩემი პატივისცემისა საჩუქარი ვუძღვენი. ელექტრონულ საათს მოვარგეთ მელოდია "ზესტაფონო გშორდები" – მელოდია ყოველ საათში ორჯერ მეორდება. დამონტაჟებულია აადგურის შენობაზე.

– რა არი ბიჭო ორი დაკვრა რომ მალოდინე – ისმის ზესტაფონში. შესასვლელში ძირულის მხრიდან გზის მაჩვენებელი ნიშნის ნაცვლად გაკეთდა ფარზე ლითონში ჩამოსხმული იმერლის ბარელიეფი ჭურის თავზე ორშიმით ხელში, ხელი აქვს გაშვერილი ზესტაფონისაკენ წარწერა "აგერ არი ზესტაფონი". ზესტაფონიდან იყვნენ წარმოშობით შალვა ლამბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, სერგო ზაქარიაძე, პეტრე ამირანაშვილი, დიმიტრი მჭედლიძე. ცნობილი დოსტაქრები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორდანე გოცაძე, გრიშა კახიძე / გრიშას პარიზის გამოფენაზე სილამაზის მედალი ჰქონდა მიღებული/.

მომღერალთა ცნობილი ტრიო ავალიშვილის, გაჩეჩილაძის, საყვარელიძის შემადგენლობით. ზესტაფონ - ძირულის "ბრიგადა" ჩვენი ხალხი კარგი ხალხი მათ ქეიფიც და სიმღერაც კარგათ იციან. შემადგენლობით: მიხეილ ჩიხლაძე, აქვსენტი ებანოიძე, ბესარიონ კვინიხაძე, ლევანტი წვერავა, ვანიჩკა გაჩეჩილაძე, იოსებ ცქიტიშვილი, ბინო ჩიხლაძე, შალვა ებანოიძე. მათი შესრულებით სიმღერები ციკლიდან"გოშო როგორ გიხდებოდა ბალკონზე გადმოდგომაო". წამოკრული რეპერტუარი:

- მიყვარს ვარდი მომწონს ია მიყვარს ვინც რომ ლამაზია.

- აქედანი და შენამდი - ჯაჭვი მაბია ყელამდე, რომ ვინმე გამომიშვებდის სულ ჩოქვით მოვალ შენამდე.

- Хорошо на горке пить - трудно подниматся
Хорошо тебя любить - трудно расставатся

დასილოსება რომ შემოვიდა
კოლექტივის საქონელი ხოშზე მოვიდა.

აქვსენტი ებანოიძე თვითონ ასრულებს "ბრიგადის" მიერ შექმნილ სიმღერას იგივე ავქსენტიზე.

- რას შვები ბიჭო აქვსენტი, შენი დანიშნული გოგო სხვას მიყვება.

"მრავალჟამიერი", "ციტურნი", "ცერკოვნი", "იმერული", როგორც ამბობენ საქართველოში მრავალჟამიერის ას ერთი ნაირსახეობაა.

- ზესტაფონში ცხოვრობს მეტყავე ბესარიონ გაჩეჩილაძე, ხელოსანი ცნობილი კაცი ხელგაშლილობით. ბაზართან ცხოვრობს. მის მარანში დღენიადაგ ვორიგე სუფრაა გაშლილი. ყველი, ჭადი, ლობიო, ფოჩიანი პრასი, დოქით ღვინო. მარანი ყველასათვის ღიაა, ბაზარში შორი გზიდან ჩამოსულმა ხალხმა იცის, რომ აქ ყოველთვის შეიძლება "წახემსება". სუფრა რომ შეთხელდება ბესარიონის მეუღლე გადაავლებს თვალს და ისევ შეავსებს.

ბესარიონს ცხრა არლანი აქვს. ზოგი კარადაში ჩამონტაჟებული, თუ ცალკე მდგომი.

მარანში მეგობრების ფოტოებია გამოფენილი. ბესარიონი ამ ფოტოებს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის ბიუროს წევრებისა და კანდიდატების ფოტოებს უწოდებს. ერთი წელი თუ არ იწვიე ბესარიონს წევრობიდან კანდიდატად გადაგიყვანს, თუ მეორე წელიც მიაყოლე საერთო ჩამოხსნის შენს სურათს.

სტუმრად ვართ ბესარიონთან ოთხნი. გვეჩქარება თბილისში. გზად შე-ვიარეთ. მარანში კედელზე პატარა ღვინის კასრი აქვს მიმაგრებული ასე 6 ლიტრიანი იქნება. გვეუბნება ა , ბოშო გამოვცალოთ ეს "ბაჩონკა" და წა-დით მერე.

შევატყვეთ "ბაჩონკას" არაფერი აკლდება. თურმე კედლის მეორე მხრი-დან დიდ კასრთან არი შეერთებული მილით. აბა, რა შეეტყობოდა. გვიან მივ-ხვდით უკვე კარგათა ვართ. ასე შევრჩით ბესარიონთან.

– ზესტაფონში მეორე ბესარიონ გაჩეჩილაძეც ცხოვრობს ვექილი, რომელიც ზედმიწევნით "მშვიდობისმოყვარედაა" ცნობილი. ბესარიონი მომჩივანსა და დაზარალებულს ერთდროულად ემსახურება. სოფელ საქარაში ქურდი დაუკავებიათ სოფელმა ცალკე შეაგროვა ფული, მისცა ბესარიონს – მოგვაშორე ეს ქურდი მაგრად ჩააჯინეო, ქურდმა ცალკე მისცა ფული ბესარიონს. რა ქნას ბესა-რიონმა. პროცესზე ახასიათებს მსჯავრდადებულს – ახლა რომ დავაბრალო ამ კაცს ინდოურის და ქათმის ქურდობა – არ იქნება სწორი – არ იკადრებდა მა-გას ნამდვილად. რამე დიდი საქმე რომ დაგებრალებიათ კიდევ მესმის. შარ-შან ზესტაფონში ბანკიდან რომ დიდძალი ფული წეიღეს მაგის გაკეთებული მგონია. თუ ეკუთვნოდა ქურდს ორი წელი სასამართლომ რვა მიუსაჯა.

მსჯავრდადებულის საბოლოო სიტყვა:

– თუ გამევედი ბესარიონ!!!

მეზობელმა მეზობელი დაჭრა სანადირო თოფით. ბესარიონმა რა თქმა უნდა წინასწარი შემრიგებელი სამუშაო ჩაატარა. მიმდინარეობს სასამართლოს სხ-დომა. ბესარიონმა დაარიგა ახალგაზრდა:

– შენ ბიჭო სასამართლოზე უნდა თქვა რომ, თოფი კი არ დაგიმიზნებია-შემთხვევით გაგივარდა.

სასამართლოზე ახალგაზრდა შეტრიალდა ჩვენებას იძლევა – გავპრაზდი, გა-მოვიტანე თოფი დავუმიზნე და ვრეკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ბიჭო გეშლება შენ ეშველება ბესარიონი, კი არ დაგიმიზნებია, შემთხვევით გაგივარდა.

- არა კი არ გამივარდა დოუმიზნე და ვრეკე.

- ხო ჩემო ბიძია და თუ დოუმიზნე და რეკე, იჯექი ახლა მარ.

ძირულაში სამი სადალაქოა - შესასვლელში - სანდრო კალანდაძისა, ცენტრში - შალიკო ცუცქირიძისა, ქვემოთ რკინისგზის სადგურის შენობაში - შახპაროვისა. სადალაქოები ინფორმაციის ცენტრებია. აქ შეიძლება მიიღოს კაცმა ამომწურავი ცნობა იმის შესახებ თუ რა ღირს სიმინდი ამ კვირაში ხაშურის ბაზარზე, რამდენად შეიძლება იქვე გაიყიდოს ძირულიდან ჩატანილი ღვინო, თუ რამე ცვლილებებია მოსალოდნელი სოფლის კოლმეურნეობის და ასე გასინჯეთ რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელობაში.

ომის პერიოდში ცენტრალური ინფორმაციის ცენტრი სანდრო კალანდაძის სადალაქოა. რუქის მაგივრობას სილა სწევს, რომელზედაც ჩვენი ჯარების განლაგება ზუსტადაა აღნიშნული. აქვე ლოზუნგია გაკრული "სიკვდილი და არ გადარჩენა გერმანელ ოკუპანტებს".

შალიკო ცუცქირიძის მამას ქუთაისში ელექტრო ნათურა, რომ უნახავს, მოუპარავს და წამოუღია ძირულაში. ამოულესია ბუხარში. ძალზე გაჰკვირვებია რატომ არ ანათებსო. სადალაქოების მუდმივი კლიენტებია შემოდგომაში ჩვენი სოფლის შტაბის უფროსად დამტკიცებული პროკოფი მახათაძე. სტუმრადა მყავს ჩვენი საკავშირო მინისტრის მოადგილე და ჩვენი მთავარი სამხარეულოს უფროსი ანატოლი კისელიოვი, ვეახლეთ სახლში პროკოფის. დატრიალდა პროკოფი უცებ ორი პური მოხადა, მესამეზე უთხრა სტუმრებს: სანამდი თქვენ არ მეწვევით კიდევ, ეს პური არ მოიხდებაო. სტუმრებმა ძალზე გაიკვირვეს რომ გაიგეს, ხალხი მიდის იყრება აქედანო. ამაზე უკეთესი მხარე თუ არსებობს სადმეო.

უკანასკნელ ხანს სიკვდილამდე პროკოფი კოლმეურნეობაში ბრიგადირია.

- რა ბრიგადირი ვარ ახლა ბიჭო მე. ბრიგადის წევრები აღარ მყავს. მეთვლებიან ბრიგადაში თბილისელი ხალხი ამირანი, გუსარი, უშანგია ნესტაფონიდან, შალიკო ჭიათურიდან.

- ასეა დღეს ჩვენთან კოლმეურნეობის საქმე, დაუსწრებელი ბრიგადის წევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები მყავს.

იმ ვენახების ადგილას ბაბუას, მის ძმებს და კიდევ სხვა მეზობლებს, რომ ჰქონდათ, ეხლა არა თუ ვენახი, ბალახიც აღარაა.

მომკრეფი რომ იყოს მაყვალია ბევრი, ეკალა, ომბალო ზემოთ წევის სერის ფერდობზე "შენჭყ" - ნოტიო ადგილას. ნაწვიმარზე ხანდახან "ნიყვსაც" შეხვდები.

ერთხელ ბავშვობისას მეზობლების ჩხუბს შევესწარი. დაობდნენ - ეს ღელე აქ კი არ უნდა ჩამოდიოდეს. ცოტა იქით დააახლოებით ათი მეტრის მანძილზე უნდა "გადავაგდოთო". ეხლა აღარც იმ ღელის პატრონი არა ჩანს და ზამთარში სახლის გადამთოვლავიც აღარავინაა.

სოფელი თითქმის დაცარიელდა.

- რესტორანი წევა.- ირაკლი აბაშიძე, გენერალი ვარლამ ჯანჯღავა, ბორის სალარიძე, ჩვენი "ბრიგადის" რამდენიმე წევრი და რესტორანის დირექტორი ოქია.

უკრავს უცხო აბრამა ებრაელის დასტა. აბრამასათვის სიკვდე მაქვს გაკეთებული - ახსოვს. სრულდება ებრაელების სიმღერა "შენ რა იცი ხაიმჯან - კურდღელი რა მხეცია" მერე აბრამა "ჭიპილიას" 45 წუთიან პოპურის ასრულებს - ჭიპილია - კავკასიის ფრონტზე - ჭიპილია შევიდა ვარშავაში. ბერლინში, ჭიპილია გამარჯვების ალბუმზე. ქეიფი გრძელდება. ჯანჯღავამ ბონდზე ასვლა მოინდომა, დაუცდა ფეხი, მდინარე ჩხერიმელაში ამოჰყო თავი.

- შე კაცო ეუბნება ოქია - დნეპრის და ოდერის გადალახვა არ გაგჭირვებია და ჩხერიმელა გახრჩობს?

- კოლია საყვარელიძე ღვინის ქარხნის დირექტორია. მიაკითხა მეზობელმა ვალოდია სალაძემ "ფეროს " მუშამ. სთხოვს კოლიას მომაწყვე სადმე უფრო კარგ ადგილზე მოვკვდი ამ ფეროში.

- კასრის მგორებლის ადგილი მაქ ვალოდია.

- ეგ რა არის შე კაცო თითქმის იგივეა.

- აბა ახლა მთავარ მეღვინეს ვერ მოვხსნი და შენ ვერ დაგნიშნავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავიდა ხანი. სალამე თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორია. ეხლა კლიაა უმუშევარი. მივიდა კლია. შესვლისთანავე მიაძახა სალამემ:

– რა კაი დროს მოხვედი კლია, ჩემი მთავარი კონსტრუქტორი გადაყავთ მოსკოვში და დაგნიშნავ აუცილებლად.

მაინც არ გადაუხადა სამაგიერო. კლია ქარხნის დამხმარე მეურნეობის დირექტორად დანიშნა.

ზესტაფონში გორდს და ხიდს შუა ცხოვრობს ჩემი ახლობელი ოჯახი რაჟდენ გურეშიძის. რაჟდენი ბიცოლას მამაა. ხელოსანი დურგალი, არა ერთხელ ვყოფილვარ მასთან სტუმრად. საოცარი ხალხი ვართ ქართველები, ორკაციანი ქეიფიც შეგვიძლია. რაჟდენ ბაბუა და მე ვსვამთ ღვინის ხარა დოქით. თამადა რაჟდენ ბაბუაა. ისმება სულ ცოტა ოცი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა დიდი ჭიქით და არა წელში გამოყვანილი პატარა ჭიქით.

სოსიკო გურეშიძე საოცარი ბუნების კაცი. დის შვილებს უმამოდ რომ დარჩნენ, მათ გაზრდაში გადამწყვეტი სიტყვა სთქვა. ეხლა ბიცოლაჩემი ზესტაფონშია. თბილისში თავის შვილებთან და შვილიშვილებთან არ მიდის. სოსიკოს შვილებთან და შვილიშვილებთანაა.

– აი, სიკეთისა და ერთგულების ფილოსოფია.

სოსიკოს მეუღლე ნინა – კეთილი, უმაღლესი დონის დიასახლისი. ბიცოლა ჩემი ზინა, ნუცა ბებიასაგან აქვს ნასწავლი ხაჭაპურის გაკეთება ჭიშკრამდე რომ გაიწელება ყველი. თბილისში რაიონულ კომიტეტში თათბირია, გვაფრთხილებენ ხელმძღვანელებს, დღესასწაულზე და საერთოდ ძღვენის მიღება არ შეიძლება ეს იგივე ქრთამია.

ვეკითხები – თუ შეიძლება ზინა ბიცოლას გამოგზავნილი ტყემალი რომ მივიღო, ხომ არ ჩამეთვლება ქრთამად? ზინა შვილთაშუთნახევარში შლის სუფრას (რვა წუთი დიასახლისის ფიასკოს ნიშნავს). კეცზე შემწვარი წიწილი, ან ის რომ-მაყვლით სავსე ჯამში დაყვინთული ხაჭაპური, მჟავე პრასი, იკალა, ჭყინტი ყველი, ფხალი, ლობიო 24 საკაზმიანი, ცხელი პირდაპირ კი არა ცეცხლი რომ ხვდება ბუხარში. კეცზე გამომცხვარი მჭადები "ზიის" ფოთლით გაწყობილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზესტაფონელია კაკო სალაძე, საკედლე მასალის ქარხნის დირექტორი. საქარაში ხეზე აქვს მოწყობილი 12 კაცის საქეიფო ადგილი. ხარაგაულის ქარხნის აშენებაში მომეხმარა. ქარხანა კაკოს მოცემული საკედლე მასალითაა აშენებული. მეგობრობის კორპუსად წოდებული. მეგობრობის კორპუსი ჰქვია იმიტომ, რომ სულ მეგობრების მოცემული მასალებითაა აშენებული.

ბორის სალარიძე – ზესტაფონის რაიკომის მდივანი. ბორისი შემდგომში სვანეთში მუშაობდა რაიკომის მდივნად. მისი უნარიანობა და სითბო ალითქვა ხალხმა, ბორისს სვანეთში ეკლესიაში დღესასწაული გადაუხადეს. ეს ხვედრი ალბათ იშვიათია რაიონის თავკაცისათვის.

ზესტაფონში ცხოვრობდა ავტოინსპექციის უფროსი ვალიკო ჯულელი. სუფთა კაცი. მკაცრი არა ყოფილა, მაგრამ ხათრი მისი ყველას ჰქონდა. დარღვევები და საგზაო შემთხვევებიც მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

სიკეთე საქმის არასოდეს ვნებს.

## ლევანტი თაბაგარი

ხაშურ-ზესტაფონის გზიდან ლევანტის სახლამდე რამდენიმე მეტრია. ცხოვრობს სახლში, რომელიც ეხლანდელი გაგებით პატარა ოროთახიან ბინას შეეფარდება. სახლი ხისაა, დიდაბოძით, კრამიტით დახურული. ასე აშენებდნენ ჩვენი წინაპრები სახლებს ბუნებას ლაზათიანად რომ ერწყმოდა. ეხლა რა არ მოიმოქმედა კანონმდებლობამ მაგრამ ვერ გადააჩვია ხალხი უმსგავსი სახლების მშენებლობას. ეხლა სულ იოლად წყდება სოფელში სახლის მშენებლობის საკითხები. გადაიზომება ფართი "Десять на Двенадцать" და ალიმართება საკედლე ბლოკით ულისლამო უშნო ურჩხული. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან ბუნების დამახინჯებაში. სურამის უღელტეხილს რომ გასცდები გზიდან სოფ. ლორეშის ფერდობი მოსჩანს. საოცარი ადგილია. თითქოს ეს მიდამო აურჩევია დავით კაკაბაძეს ცნობილი ტილოს იმერეთის შესაქმნელად. და აი, აქ იმერული ხის მოჩუქურთმებული სახლები ნელ-ნელა შეიცვალა აგურის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბლოკის სახლებით ...

იქეთ გახედვაც აღარ გინდა. საქსოფლპროექტმა დიდი ხანია შექმნა სავსებით ნორმალური სოფლის ნაგებობების პროექტები, მაგრამ არ იქნა არ დამკვიდრდა ჩვენში. არ დაადგა საშველი.

დავუბრუნდეთ ლევანტის.

უსწავლელი სოფლელი პატიოსანი მშრომელი კაცი. ოთხი ვაჟი აღზარდა, არცერთი არ დაბრუნებულა იმიდან. დღენიადაგ უსასყიდლოდ ეხმარება მეზობლებს. ენამახვილი კაცია. ლევანტი მხოლოდ აღდგომა დღეს იბანს თავს და იპარსავს პირს.

- რა ხშირად მოდის კაცო ეს აღდგომა - დაბანამ დამხია. შევედი ერთმია დალაქთან და რომ გამკრიჭა ერთი ტომარა მაწყლი ჩამევიდა.

- თბილისს მიემგზავრება სანოვაგით სავსე დიდი კალათა რონოდის გასასვლელში დაუდგამს. "პრავადნიკი" წამოედო კალათას. შესძახა, მოხუცო მოაშორე კალათა აქედანო

- კი მარა სად წავიღო?

- სადაც გინდა იქ წაიღე

- სადაც მინდა კი მიმაქ ჩემო ძმაო იგ კალათა თუ დამაცლი.

ახალგაზრდები ეკითხებიან მოხუცს:

- ლევანტი შანსი თუ გაქვს?

შანთი ბიძია (ყურძნის ჯიშია) იქით მაქ ნახილვარში რომ ვენახია და ცოლიკაური და კრახუნა აგერ მაქვს სახლთან.

ლევანტი ხშირად სტუმრობდა თბილისში ჩემს ბიძას ზენო ჩიხლაძეს. ბიძაჩემს მაშინ იზოლირებული ბინა არ ჰქონდა საპირფარეშოთი სხვა მეზობლებიც სარგებლობდნენ. გარეშე პირებს, რომ არ ესარგებლათ საპირფარეშოთი, ბოქლომი ედო.

- ბიჭო, უთხრა სალამოს მასპინძელს ლევანტიმ, ის ჩემმა რომ კლიტით დაგიკეტია ნეტა ვიცოდე რა გაქ მაგაში დასაკარგავიო.

- ლევანტიმ გაუნძრეველი სახუმქლიანი ძილი იცოდა - მასპინძლის შიკითხვაზე ეგრე გაუნძრევლად როგორ გძინავსო გაოცებულმა უთხრა: "ბეჭო მე სად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარკალოთ კი არ მცალია დასაძინებლად დავწევი.

- ელექტრო ქურაზე ქოთნით ლობიო დაუტოვეს ლევანტის, მოხუცს ქურა არ ენახა. ლობიოსათვის ყურადღება არ მიუქცევია - დამწვარა ლობიო. ბიჭო ეს ლობიო ამ სკამზე ჯერ რამ აადუღა და მერე რამ დაწვა, ჩვენში ერთი ქოთანი ლობიოს მოხარშვას ერთი დიდი ჯირკი უნდაო.

- ლევანტის თბილისში უმკურნალეს, კბილები ჩაუსვეს. ურჩიეს კბილები ჩოთქით უნდა გაიწმინდოვო. ლევანტიმ ტანისამოსის ჩოთქი წარმოიდგინა და გაოცდა - ჩოთქს პირში რა უნდა ხო დამიხია ტუჩიო.

- ისევ მატარებელი - ტომარაში ლევანტის ჩექმები უწყვია. ქურდმა მოინდომა ტომრის მოპარვა, მაგრამ თურმე ლევანტის ტომრის მეორე ბოლო ხელიდან არ გაუშვია წინააღმდეგობა რომ იგრძნო ტომარა მთელის ძალით გამოსწია ქურდიანათ - შე კაცო ამ ტომარაში ერთი წყვილი ჩექმაა და ერთი წყვილი ორ კაცს რავა გვეყოფა.

- ლევანტი ხაშზე დაპატიჟეს. ულუფა რომ დაამთავრა შეეკითხნენ პური თუ გეყოვო. ამ წვენს კი ეყო და მე არაო.

- ლევანტი ტელეფონით დაალაპარაკეს თბილისიდან ძირულას. ნაცნობი ფოსტის გამგის ხმა რომ მოესმა გაუხარდა, მაგრამ ეჭვი გამოთქვა - ბიჭო, სიმონი კი მელაპარაკა ქე ვიცანი ხმაზე მარა ეს ხმა რავა გადარბის ამ სერებზე ნეტა გამაგებინაო.

- კაი საქმეა მაგ ჩემო ბატონო - ალითქვა ლევანტიმ პატეფონი და რადიომიმღები. ჩვენში ერთი ჩაფი ღვინო უნდა წაგდენი ხალხი რომ დაპატიჟო.

- ყანაში მომუშავე ლევანტის ცოლმა საგზალი მოუტანა.

- ქალო მარილი ვერ წამეიღე?

- აღარ იყო ბატონო

- მერე როდინი მაინც წამოგელო, ენას გამოუსვამდი.

- ლევანტის ოთახის ვენტილიატორი არ ენახა - ნეტა გამაგებია ამ რკინაში ქარი საიდან გამორბისო.

- მეზობელს ნიკალა სამხარაძეს ლევანტიმ მოწყენის მიზეზი ჰკითხა

- ცოლი კალინკა მყავს ავადო

- შე კაი კაცო მაგან შეგაწუხა? სანამ კალინკა მორჩება აგერ არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის ჩემი ქალი? რომ მორჩება კალინკა მერე სად წაგვივა.

ლევანტიმ შესჩივლა მეზობელს - ბოშო ფული ვერსად შევინახე, ჯერ იყო და ჩექმის ყელში ჩავდევი - თაგვებს დეეხრათ, მერე სიმინდიან ქომარაში ჩავდევი მარა ბიჭს წისქვილზე წეელო და სიმინდიანად დეეფქვა, მერე ხალათის ჯიბეში შევინახე, მარა ჩემს რძალს ხალათი დეემდუღრა და ფულიც გეეფუჭებია.

- ლევანტი და ნიკალა ნიკალასთან ბუხარს მისხდომიან რა თქმა უნდა ღვინის სავსე თოქით. ნასვამი ნიკალა ბუხარში ნაკვერცხლებში გადავარდნილა შუბლით. შე კაცო თუ გადავარდნა გინდოდა აქეთ ვერ გადმოვარდი ამ ხალაში ადგილი იმდენია ცხენი გაჭენდება, რაღა ბუხარში მიძვრებოდი.

- ეკითხებიან ლევანტის - წელს ღვინო როგორი დადგა - წელს ზიძია ღვინო ვერ დადგა მთლად კარგი, ცოტა მჟავეა მარა არაფერი უშავს ჭადის პანღურად მაინც გამოდგება.

ვასიკო სამხარაძემ უარი თქვა ღვინის სმაზე ფეხი მტკივაო - ბიჭო ფეხზე კი ნუ დაისხამო - უთხრა ლევანტიმ.

- ერთ ძუნწ მეზობელს არაფერი მიეტანა სუფრაზე.

- ბიჭო, კიტრი ვერ დაჭერი? - უთხრა ლევანტიმ.

- სათესლედ მინდაო

- ბიჭო, ყველიც სათესლედ გინდაო?

სკოლაში ბავშვები წარმოდგენას ამზადებენ. საბჭოს თავმჯდომარემ იცის, რომ ლევანტის ბიძაჩემის ნაჩუქარი "ნაგანი" აქვსო და სთხოვა, ლევანტიმ ათხოვა. გავიდა ხანი იარაღს არ უბრუნებენ ლევანტის. მიაკითხა - ბიჭო, სანათხოვრო დრო ქე მევიდა მომეცი ახლა ჩემი ლევერი.

- თავმჯდომარე ირონიით ეუბნება:

- რათ გინდა ლევანტი შენ იარაღი?

- ბიჭო, რავა რათ მინდა, ახლა რომ მეკავოს ხელში გრეკავდი შუბლშიო.

შროშაში ისეთი წვიმა მოდის, რომ ქვეყანა მიაქვს. ლევანტის სოფელ ლელვანი რომელიც 30 ვერსის დაშორებითაა შროშიდან სატრფოდბულებოდა. შროშაში მისული წვიმას ზედაც არ უყურებს გახედა სერს და ნაღვლიანად ამბობს:

- ბიჭო, დეიქცა მგონი ლელვანი.

– წამოწოლილია ღევანტი სახლში. ესმის ძაღლი მარანში რაღაცას სვამს. ბიჭო აკაკი, ნახე ის ვალერიან გველესიანის ძაღლს გავს, ყველს იპარავს ალბათ.

– მამა ყველს კი არ იპარავს, წყალს სვამს – დაეზარა ადგომა აკაკის.

– ბიჭო, ამ მარტის თვეში თავსხმაში ვალერიანის ძაღლი გველესიანებიდან წყლის დასალევად აქ გამევიდოდა?

ღევანტის ყალიონი დაუკარგავს – ბიჭო ყალიონის დაკარგვას ვდარდობ ერთ კვირაა, მარა მერე ეს ვიდარდე ყალიონს რა მადარდებდაო.

ასე გაჩნდა მცნება დარდის დარდი.

შრომა –

ამბობენ წარმოების სპეციალიზაცია მრეწველობაში გენრი ფორდმა დანერგაო – არ არის ეს მართალი წარმოების სპეციალიზაცია შრომაში გაცილებით უფრო ადრე დანერგილა, კერამიკის დარგში. მოდებაძეები –აკეთებენ ჭინჭილებს, შველიძეები – ჩაფებსა და ქოთნებს, ლაბაძეები ქვევრებს და ჭურებს. დღესაც ამოუცნობია რა საღებავებს ხმარობდა უკანასკნელი მოჰიკანი ფილ[illegible] მოდებაძე ჭინჭილების მოსაჭიქურებლად. გაოცებას იწვევს ოჯახურ პირობებში როგორ გამოიწვება 150–200 ფუთიანი ჭური. შრომაში ისე როგორც იმერეთში თითქმის ყველა მოსახლე სამყაროა. ძმები – ნიკალა, ევსევი და ვასიკო სამხარაძეები –მოხუცდა ნიკალა, ამბობენ თვალს დააკლდაო. მასთან სტუმრად ვართ პატარა წელში გამოყვანილ ჭიქაში ცოტა ღვინო შევატოვე – გამოცალე ბიძია ეგ ჭიქა მეუბნება ნიკალა.

– ნიკალაი გარსევანოვიჩ, თუ შენ ამ ჭიქის ძირში რამდენიმე წვეთ ღვინოს ხედავ არ დაგკლებია თვალს.

ნიკალას როცა ამფსონი არა ჰყავს მოწყენილია, ეძებს საშუალებას. იქვე სახლის ბოლოსთან სურამ-ძირულის მაგისტრალზე. დგას ნიკალა, ხელსაყრელ შემთხვევას ელოდება. აი შემთხვევაც. გამვლელ მანქანას საბურავი დაეშვა. სანამ მძღოლი საბურავს ცვლის მგზავრებს გამოეცხადა.

– რა გვარის კაცი ბრძანდებით ბატონო მიმართავს ნიკალა უფროსად მიჩნეულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ბერძენიშვილი ბატონო.

– მთლად ახლობლები ვყოფილვართ – თალიკო რომ არის ჩემი მეზობელი იმის სიძე ასლანი – ბერძენია.

მიიპატიჟა ნიკალამ "ახლობლები" და მეორე დღემდე არ გამოუშვია.

ღვინით გაჟღენთილი ნიკალა წამოწოლილა ოთახში. – მეუღლე კალინკა ეუბნება შვილებს – გეიტანეთ ეს ღვინიანი ტიკი სუნთქვა აღარ შეიძლება.

სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო შვილიშვილი ზურიკო დაიბარა.

– ზურიკო, მე ალბათ რამდენიმე დღეში მიმიღებს მიქელ გაბრიელი, ერთი თხოვნა მაქ შენთან. ჩემი დასაფლავების დღეს ეს ასფუთიანი ჭური უნდა დაიცალოს თუ ჩემი ხათრი გაქ წვეთი არ უნდა დარჩეს.

ამქვეყნიდან წამსვლელ ნიკალას სხვა არაფერი დარდი არ გაჰყოლია. ისევ ხალხის პატივისცემაზე ფიქრობდა. გამართულად უცხოვრია ამ ქვეყნად. არც ნიკალას უმცროსი ძმა ევსევი ჩამორჩებოდა მას კაცობაში.

ევსევი სარეცელზეა მიჯაჭვული. მივედით სანახავად. ლაპარაკის თავი აღარა აქვს. ხელი გაიშვირა ჭურის თავისაკენ – იქ კრახუნა ეგულება – იქ ჩადითო.

კოლმეურნეობის კრება შრომაში– უკეთეს სპექტაკლს ვერ ნახავ. ერთერთ პუნქტად დღის წესრიგშია კოლმეურნის შერჩევა, რომელმაც სოფელში დანაგროვებ ჭაჭისაგან არაყი უნდა გამოხადოს, არჩევანი შეჩერდა დანიელ გველესიანზე. ჯერ წესიერად კენჭის ყრაც არ დამთავრებულა, დანიელი უკვე გაიძახის არ გამოდის ბატონო წელს ვოტკა გველესიანებშიო. მერე ისე შეეჩვია დანიელი სიტყვა "არ გამოდის" საქმით რომ მიმართავდი – ისევ გიპასუხებდა, არ გამოდის ბატონო!

კრება დასასრულს უახლოვდება. პრეზიდიუმში მთელი კრების მსვლელობისას სძინავს სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს ვალერიან გველესიანს. ვალერიანი მონადირეა, ორი ძაღლი ყოველთვის თან ახლავს. გამოეღვიძა ვალერიანს. მიიხედმოიხედა, იფიქრა დამთავრდა კრება ისე, რომ მე უსიტყვოდ დავრჩეთიო. ჩაერთო უცებ და მორთო ღრიალი. ძაღლებმა იფიქრეს პატრონი ალბათ პლატონა შვილიძეს ეჩხუბებაო და ეძგერნენ წინა რიგში მჯდარ პლატონას. ატყდა ალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქოთი. როგორც იქნა დაშოშმინდა კრება. კოსტა შვილიძე ითხოვს სიტყვას. მართალია ბატონო დღეს არჩევნებში არ არი, ისიც მართალია ბატონო, რომ ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოლია კაი კაცია; მარა აღარ გვინდა ბატონო, ახლა სხვა იყოს თავმჯდომარე.

კოსტა შვილის დამრიგებელს დაუბარებია სკოლაში. შენს ბიჭს ბატონო კოსტა სულ ორიანები აქვს ყველა საგანში მარტო სიმღერაში და ყოფაქცევაში აქვს ხუთიანებიო.

-ბოშო მე რაც ვიცი იმაში ქე ქონია ხუთიანები, სიმღერა კაი ვიცი და ზრდილობიანი კაციც ვარ, დანარჩენი შენ უნდა გისწავლებია.

ერმალოზ შვილიძე შვილს აგზავნის თბილისში სასწავლებელში. შეძლებული კაცია. შვილს აპეკუნი დაუნიშნა, თან უთხრა:

ფული რამდენიც არ უნდა მოითხოვოს ნუ დაუკავებ მიეცი, მხოლოდ წარმოგიდგინოს ანგარიში რაში დახარჯა. ქეიფობს ყოველდღე ვაჟიშვილი, უდგენს ანგარიშს აპეკუნს, დაიხარჯა პური ამდენი, მარილი ამდენი (პურ მარილი) და გამოვიდა ერთ წელიწადში დანახარჯი 100 ტონა პური და 10 ეშალონი მარილი.

გიორგი თაბაგარს ხაშურის ბაზარზე საათი უყიდია. საათის ცნობა არ იცის. გაიგონა ვილაცისაგან - ცხრის ნახევარია. მერე რომ შეეკითხებოდნენ საათს დილას, შუადღისას, საღამოს ერთი პასუხი ჰქონდა მომზადებული

- ცხრის ნახევარია ბატონო.

აკაკი წერეთელს შრომული ქათამი ჰყავს მოხსენიებული სანოვაგის "ნუსხაში". ლარიბია იმერული სუფრა, მაგრამ გემრიელი, ლაზათიანი. ბებია იტყოდა ხოლმე, სტუმარს საჭმელი არ უნდა მოაბეზრო - თითო თითო რამ უნდა მიართვა რიგრიგობით და მაშინ ყველაფერს გასინჯავს რაც სუფრაზეა მიტანილი. ლევანტი იტყოდა ხოლმე, საინი ისე უნდა მოასუფთაო მორეცხვა აღარ დაგჭირდესო. ამას იმტომ ვამბობ, რომ ეხლა საჭმლის კულტია გამეფებული, რამდენი სურსათ-სანოვაგე რჩება და ფუჭდება - სიუხვის მარკით. ზედმეტობაა, ლაზათი დაჰკარგა ქართულმა სუფრამ.

შრომელების კიდევ ერთი შტრიხი. მეტად გათვითცნობიერებული დაოსტატებული ოქიმბაშები ჰყავდათ. მათ შორის ყველაზე პოპულარული ექვთიმე სამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარაძის მეუღლე – სეფორანი. პირუტყვსა თუ ადამიანებს ერთნაირი ოსტატობით მკურნალობდა, სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს იყენებდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა სეფორანის მიერ გამოყენებული ხერხი ოყნა – ვენახის საწყავი მანქანით. უცებ მოსძებნიდა საჭირო მცენარეებსა და ყვავილებს. ასეა თუ ისე, სოფლის ხალხის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში სეფორანსაც მიუძღვის წვლილი.

შრომის ელექტროფიკაციაში მეც მიმიძღვის ღვაწლი. ომის შემდგომ პერიოდში გოგი ფანცულაიამ ძირითადად, მე, მონტიორებმა ჭიჭიკო თაბაგარმა ვაჟა გვილესიანმა ვითავეთ ეს საქმე. რუსთავში შეგვიკეთეს ნახმარი გადავლებული ტრანსფორმატორი. მოხერხდა მავთულისა და კაბელების შეძენა. და დაიწყო საქმე. სამუშაოები სულ რამდენიმე თვეში მოთავდა. დაიწყო ელექტროენერგიის ჩართვის რიტუალი რიგრიგობით ოჯახებში. დღეში ირთვება თითო ოჯახი. ამას თან ახლავს ოჯახის ყველა წევრის გამოძახება თბილისიდან თუ სხვა ქალაქებიდან. რა თქმა უნდა იმერული პურ-მარილი მეზობლების გადმოპატიჟება ლხინი.

გოგი ფანცულაიას შრომის "ედისონი" შეარქვეს –გაუმარჯოს ედისონს და მის თანაშემწეებს.

- გოგი ხშირად იმეორებს – კარგი ქართული აღნაგობისა და მოყვანილობის კაცის სახე რომ მომენატრება სარკეში ჩავიხედავ ხოლმე.

- შრომაში პირველი რადიომიმღები მე ჩავიტანე. ბაბუამ ხელად გამიჭრა ჭოკი – ანტენა დაამაგრა აივნის თავზე. ჩაირთო რადიომიმღები მთელი სოფელი შეგროვდა ეზოში. მძლავრი დინამიკი ახმიანდა. ასე იყო სულ სანამ სოფელში სხვა რადიომიმღებები გაჩნდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თ ბ ი ლ ი ს ი

კეთილი თბილად მფეთქავი გული ხელგაშლილი სტუმართმოყვარე მასპინძელი თითქოს არასდროს არაფერი სტკენოდეს; თითქოს არასდროს ჭირი და დარდი არ ენახოს; თითქოს არასდროს კვნესა არ ამოხდომოდეს, მუდამ ტკბილად მომ ღიმარი, მოალერსე, როგორც დიდა ზრუნვაში გათეთრებული, მაგრამ ჯანმაგარ იქნებ ამ სითბოში იყოს თბილისის უკვდავების საიდუმლოც.

/ ირაკლი აბაშიძე /

ეს არის ჩემი და თქვენი თბილისი. თბილისი ორთაჭალიდან დაიწყო, მერე "სოლოლაკი". აქ ცხოვრობდნენ ხელოსნები, ლიტერატურისა და ხელოვნებ-ის მოღვაწენი, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები და მთავრობის წევრებიც. /მერე საზოგადოების "ზედა" ფენამ ვაკისაკენ გადაინაცვლა/. 1862 წლის აღწერით თბილისში 76 დუქანი და 40 ღვინით მოვაჭრე წერტი ყო-ფილა. სოლოლაკში სურსათი ეზოებში დააქვთ. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. რძე, მაწონი, ხილი, კარტოფილი, ლობიო, პამიდორი, ბადრიჯანი, თევზი და სხვა სანოვაგე.

მიმწვანილე პავლე ვირითა, ხურჯინითა და ქილებითა

- ეკითხებიან: პავლე მაწონი რა ღირს?
- არ იცი რომ ორი აბაზია?
- პავლეჯან ქილიანად?
- არა ბიჭო ვირიანად.

სლესარი მიკიჩა, სანტექნიკი ლოვა, მეტყავე იაშა, კლარნეტისტი აბრო, პარიკმახერი ბესო, საპოჟნიკი გიორგი, ჩისტილშიკი არმენა, ბუფეტჩიკი გოგა,დალაქი ბესო ბაინდუროვი. თუ საჭიროა წურბელებსაც დაგასვამს, თუ გაგიჭირდა კბილსაც ამოიღებს. წარწერაა აბანოებთან მის სადალაქოზე: "Парикмахер Бесо кровь пинимаю пьявками"..

მეტყავე იაშა ამბობს - ჩემმა მზემ კარაკულის გამოვიყვან რა ფერისაც გინდა ვერ გაარჩევ "ლუბოი" ქარხნის გამოყვანილში. მართლაც კარგი ტყავის გამოყვანა იცის იაშამ.

საპოჟნიკი გიორგი - ლენინგრადში ვარ. ჩემს უფროს მეგობარს ქუჩ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჟავას (ლენინგრადში ცხოვრობს) გიორგას შეკერილი "აზიაცკები" აცვია, ფეხზე შემოსხეპილი. ნევის პროსპექტზე ერთი გენერალი გააჩერებს:

- უკაცრავად სად და ვინ შეგიკერაო ეგ ჩექმები?

- თბილისში - გიორგამ

- ბალინ. გთხოვთ გამიწიეთ რეკომენდაცია იქნებ შემიკეროს

- ისევ ისმის შაქარა თუთა, ქორფა მწვანილი, ცოცხალი თევზი; შუშა კიტრი. გახსენდება გრიშაშვილი:

მოდიან ვირები დატვირთული ქლიავით

და კოჯრის ნიავით.

ლიდა - ქალის ტუალეტების მკერავი - უნდა გენახათ თბილისის რა ლამაზმანები დადიან ლიდასთან განუწყვეტლივ ნაკადად. ამაზე უკეთესს რას ნახავს კაცი.

დანების, ხორცის საჭრელი მანქანების მლესავი "ყიყლიყო" (სახელი და გვარი არავინ იცის). ყიყლიყო იმიტომა აქვს შერქმეული, რომ კინოში ყრინველებს ახმოვანებს.

მეკურტნე აბესალომი - გოლიათი-შესვენებისას ერთ მტოჯ ღვინოს სვამს მარტო შეუძლია გადაიტანოს "პიანინო".

"ჩისტილშიკ" - არმენა "ჩოთქს" ააგდებს უკან თავზე გადაევლება ჰაერშივე იჭერს. ფეხბურთის ცნობათა ბიურო.

- არმენ, დღეს დინამო და ერევნის არარატი თამაშობს.

- ვიცი, მერე რა გინდა.

- არაფერი ისე ვაჟკაცურად გულახდილად მითხარი ვისი მოგება გინდა

- მე თბილისში დავიბადე, პაპაჩემიც აქაური იყო. სხვაგან ცხოვრებაც ვერც კი წარმომიდგენია. წესით თბილისის დინამოს მოგება უნდა მინდოდეს, მაგრამ რა ვუყო სომეხი რომ ვარ, აბა სომხები რას იტყვიან?

- მოდი იცი რა ვქნათ ? - ყაიმზე შევთანხმდეთ.

- კარგი არმენ, ეგრე იყოს

მეთონე არტემა- თავისი თანაშემწეებით, რა თქმა უნდა რაჭველები. შოთის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პური, გოჭსაც შეგიწვავს, თონეში გაკეთებული ხაში ხომ დელიკატესია. არტემა თითის წვერებით რომ დაეკიდება თონეს რომელი ჯამბაზი აჯობებს. აქვე ქვაბებსა და სხვა ჭურჭლის მოკალვა კეთდება. მკალავები აისორები არიან. ბრიგადირი იგივე ოჯახის თავი (ყველა ოჯახის წევრი ხელოსანია) აიდინა. ხელობა ხუთიანზე იცის, მის ნახელავს წყალი არ გაუვა.

– აქვე ოქრომჭედლები ძმები ჯიქიები ყანწებს, ნაჭედ ქამრებსა და სხვა სამკაულებს აკეთებენ, ოქროს მედალი მიულიათ თავის დროზე პარიზში გამოფენაზე. აქვე იკერება კარაკულის "ბოხოხი" ქუდები, გალიფე შარვალი. იქვე ცხვება ძმები ხაჟომიების პერაშკები. უკეთესს ვერაფერს შესჭამთ.

სოლოლაკის"ყოჩი" თხაიგოლა დაბალი ტანისა, მაგრამ საოცარი მოქნილობის და ღონის კაცი. როცა გამიჭირდა თხაიგოლამ გამამხნევა – თუ შენ ვინმე ხელს გახლებს ჩემთან ექნება საქმეო. თხაიგოლასთან საქმის ქონა ხუმრობა არ იყო.

მეთევზე მესროფა – დღე და ღამის ყოველ საათში მზადა აქვს ნებისმიერი ზომის თევზი – რამდენიც გინდა.

დენიკინი – ღვინის სარდაფში მუშაობს–"სალდაცკი" ბაზართან. არც ამ კაცის სახელი და გვარი არავინ იცის. ღვინო აქვს უმაღლესი ხარისხისა, თუ ფული არ გამოჰყვა ღვინოს ნისიად მოგცემს. ვალის დავთარში არ აღნიშნავს – განა შეიძლება კაცმა ნისიად ღვინო წაიღოს და ფული არ მოგიტანოს?

ენგელსის ქუჩის ბოლოში ბიძია ვასო ნიკარაძის ღვინის სარდაფია, ქარხანაში მუშაობისას ერთხელ ფრანგი სტუმრები მეწვია, წავიყვანე ვასო ბიძიასთან. აბა თბილისში მათ მაღლივი შენობებითა და კომფორტით ვერ გააკვირვებ. ვასო ბიძიამ "თათარიახნად" კასრის თავზე გაგვიშალა სუფრა. ფრანგები აღფრთოვანდნენ. წარამარა ჰკოცნიდნენ ვასო ბიძიას. ერთხელ ჩემს თანამშრომელს ღვინო დასჭირდა. გავაგზავნე ვასო ბიძიასთან. მერე სხვა თანამშრომლებმაც გაიგეს და ძალიან ხშირად მიჰქონდათ ღვინო ჩემი სახელით ისე რომ მე არაფერი ვიცოდი.

ერთხელ მივაკითხე ვასო ბიძიას. მითხრა:

– ბიჭო სად გადახვედი სამსახურში ისეთ ადგილას ყოველ დღე რომ ქე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იფობო?

– სოლოლაკში ეხლა რომ რესტორანი "სამადლოა" გოგას დუქანი იყო. გოგას მუდმივი კლიენტები რომ იქეიფებდნენ მეორე დილას პახმელიაზე გამოსვლა უფასო იყო. В Духане Гога апетит – Бога пьем до гроба и даже в гроба.

ცხონებულის დუქანი – ცხონებულს თურმე რევოლუციამდე სტალინი გადაურჩენია მდევნელებისაგან. დაუმალავს წნილის კასრში. მიმართა თურმე მერე ცხონებულმა კერძო ვაჭრობის ნება მომეციო. მისცეს. წნილეულს ჰყიდდა დუქანზე კი აბრა იყო "ცხონებულის ვაჭრობა". ღრმად მოხუცებული თავის სახლის წინ კიბეზე იჯდა ნიადაგ. დიდი პატივისცემით გესალმებოდათ ყოველთვის მოვიკითხავდით. ტკბილი მოხუცი იყო.

მეეტლე ჯანგირა – თბილისში პირველი გასაბერ საბურავებიანი ეტლი ჰქონდა, ნოხებითა და დათვის ტყავით გაწყობილი.

"მელილეინკე" – კაჩაუროვი – ერთი ძირითადი მარშრუტით დაატარებდა "ლილეინკას" – Мухранский – Сабуртало – ლადო კავსაძე აჰყავდა. ყოველდღე ცირკში /ლადო იმხანად ცირკის დირექტორად მუშაობდა/.

... ქართული ჭიდაობის საღამოები ცირკში – ზურნის თანხლებით. შეჯიბრების მთავარი მსაჯის ლეგენდარული "შაშო ვერილის" განაჩენი იმ მოჭიდავე წყვილთა მიმართ რომლებიც პასიურად ჭიდაობენ.

– დამარცხება ორივეს!

ბარათაშვილს უთქვამს, მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული. აბა ჩვენს უბანში არიან მშვენიერები სხვაგან სადა.

აჯარკა – ულამაზესი გოგო, თურქეთის კონსულის ქალიშვილი. რამდენი ჩხუბი ამტყდარა ჩვენს უბანში აჯარკას გულისათვის. მაინც არავის არ ერგო საბოლოოდ თურქეთში წავიდა. მშვენიერების სხვა წარმომადგენლებიც დადიან აქა: სალომე, გოგუცა, მანანა, თინა , ადა ბერაძე, ვერა ბარაჩი.

– მებუფეტე ზახარ ზახარიჩი – მასთან თბილისში სტუმრად მყოფი კალინინი მიუყვანიათ – გამასპინძლებია ზღაპრულად. კალინინს ძალზე მოეწონა სუფრა. ჰკითხა, ზახარ ზახარიჩ მე რით შემიძლია სამაგიერო გადაგიხადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არაფერი მიხეილ ივანოვიჩ, რომ ჩახვალთ მოსკოვში, თქვენი მშვიდობით ჩასვლის ამბავი გამაგებინე.

– მიდის დეპეშა მოსკოვიდან: "მშვიდობით ჩაველი, დიდი პატივისცემით შენი მიხეილ კალინინი.

გააკრა ეს დეპეშა ზახარ-ზახარიჩმა დუქნის კედელზე და აბა რომელი შემმოწმებელი მიეკარებოდა იმ დღიდან.

– აკორდეონისტი ემიკო – არა ერთი მუსიკოსი მომისმენია – ემიკოსავით აკორდეონს ალბათ მარტო თბილისში კი არა სხვაგანაც არავინ უკრავს. აზიური, ევროპული მელოდიები არინის იმიტაცია. ერთი კაცი უკრავს – გეგონება მთელი ორკესტრიაო.

კლარნეტისტი აბრო –ვირტუოზი – კლარნეტს ნაწილ-ნაწილ დაშლის დარჩება მხოლოდ ბოლო დეტალი "კუდი", მერე ისევააწყობს, თან უკრავს.

აბრო აბანოში ყოფილა ჩხუბი ამტყდარა. ერთი კაცი შემოსულა მოჩხუბრების გაშველება დაუპირებია.

– შენ ვინა ხარ და ვინ გეკითხება ამ ხალხის გაშველებას თვითონ მორიგდებიან – ეუბნება აბრო.

– მე ვინ ვარ და აბანოს დირექტორი.

– თუ აბანოს დირექტორი ხარ ფორმა რატომ არ გაცვია?

– რა ფორმა კაცო?

– ტიტველი რატომ არა ხარ.

იმ დროს როცა სამსახურში დაგვიანებისათვის და გაცდენისათვის სასამართლოში აძლევდნენ, აბრომ სამი დღე გააცდინა. პირადი საქმე ჰქონია და დირექტორს არ გაუნთავისუფლებია.

– აბროს ასამართლებენ

– მოსამართლე ეკითხება –მსჯავრდადებულო საბოლოო სიტყვას რას გვეტყვით

– ვა, სამი დღე არ ჩავბერე კლარნეტს რა მოხდა, რა სტანოკები გაჩერდა?

აბროს საშინლად არ უყვარდა მილიციელი – ამბობდა ერთი მილიციელის დასაფლავებას ვერ მოვესწარი ჩემი თვალით მკვდარი მილიციელი რომ მენახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მითხრეს ზემელიდან გაასვენეს ეხლა ვაკის სასაფლაოზეო. უცებ მანქანა ვერ ვიშოვე მერე როგორც იქნა წავედი, მაგრამ დამაგვიანდა უკვე მიწა მიეყარათ. მაინც ვერ ვნახე მკვდარი მილიციელი, ეგეც ჩემი იღბალია.

აზრო შემდგომში რესტორან "არაგვში" მუშაობს მოსკოვში. იმ ღამით მოსკოვიდან ვილნიუსში მივდივარ მივლინებით. ამხანაგებთან ერთად რესტორან "არაგვში" შევედით სავახშმოდ. მახლავს ვალიკო ბილანიშვილი, დევი შამათავა და ერთი ძალიან კარგი რუსი ვლადიმერ კალინინი დიდი თანამდებობის კაცი მეულლიო. აზრომ დამინახა თუ არა ჩამოვიდა ესტრადიდან მოვიდა ჩემთან ყოველთვის რომ არ ვიარო (ესტრადა ზემოთაა აივანზე) ჩამომიწერე რა "პესნები" გინდა შევასრულოო. მეც მივეცი შეკვეთა.

გვერდზე მაგიდას უსხედან ქართველი ებრაელები — ჩემი დიდი ხნის ნაცნობი პარლაგაშვილების ოჯახი. იმ ღამით ისინიც მიდიან, მხოლოდ ჩემგან განსხვავებით ვილნიუსში კი არა იზრაელში. თურმე წესად აქვთ შემოლებული იზრაელში წამსვლელთ ბოლო საათები "არაგვში" უნდა გაატარონ. მოისმის სიმღერები და მათთან ერთად ებრაელების კვნესა და ცრემლი. ტირიან თვალები დაწითლებულები აქვთ. კალინინი განცვიფრებულია — ეს სულ სხვა რაღაც ხდება რუსი ებრაელებისაგან განსხვავებით. მერე ბელორუსიის ვაგზალი. იქ მათ ცრემლს სხვა წამსვლელი ოჯახების ცრემლიც შეუერთდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს ეს ხალხი ეშაფოტზე გაჰყავთ. საკვირველია ეს ყველაფერი. იზრაილიდან მოსულ თითქმის ყველა წერილში ერთი აზრია. ნეტავი ერთი რუსთაველის̆ გამზირზე გამასეირნა და მერე მომკლა. ასეა ორი სამშობლო არ არის ამ ქვეყნად.

მუშაობა რომ დავიწყე ერთი თვის დამლევს ქარხნის მექანიკურ საამქროს ხელოსნებმა გადაწყვიტეს ჩემი სამსახურის დაწყება აღენიშნათ. ამაიაკ ტერ საკოვის მეთაურობით წავედით ავლაბარში. ამაიაკა, გრიშა აკოფოვი, შალიკო ჯაბახიძე, პავლე ფალავანდიშვილი, გოგი ავალიშვილი და მთავარი მექანიკოსი ოთარ ბახტაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამაიაკა ამბობს:

– გავიაროთ დამკვრელების დასტა ავიყვანოთ. მივედით დასტის დამქირავებელ პუნქტში. ეკითხება ამაიაკა: "ტარანას" დაუკრავთ? თურმე ტარანა ძველი "პესნია", მთელი ღამე რომ იქეიფებ გამთენიას უკრავენ. სამი დასტა გამოიცვალა ვერ დაუკრა ვერავინ. ერთმა დასტამ სცადა, მაგრამ ამაიაკამ შეაჩერა – ეგრე არ არიო. ბოლოს გამოჩნდენ დამკვრელები, რომლებმაც შესძლეს "ტარანას" სწორად დაკვრა. წავიყვანეთ არღნით და დამკვრელებით დილამდე ვიქეიფეთ. "პესნები": ზამთრის ყინვა არ მაშინებს, ბოლნისი, ეთიმ გურჯი, საიათნოვა. მედუდუკეებს წითელი სამ თუმნიანები შუბლზე აქვთ მიწებებული.

ამაიაკას შემახილი – აჯან დაიწვა თქვენი დამწველი. ხაჩიკ ტალღაუკოვის და დათო ზუბიაშვილის მედუდუკეთა დასტის ნაღდი ხელოვნება. ეს ის ხალხია პირველებმა სამ ხმაზე რომ აამღერეს დუდუკები.

ჩვენს მეზობლად ცხოვრობს დარდიმანდი კაცი მოქეიფე ვინმე კუკუ ჟორდანია. სამი ფაეტონით მოდის ყოველ საღამოს სახლში. ძველად ფაიტონების რიცხვი შვიდამდე ადიოდა. ეხლა კუკუ სამსაც სჯერდება. კუკუს აპატიმრებენ. ეტაპით მიჰყავთ ქუთაისში. სასამართლო დანიშნული.

წინა და უკანა ვაგონით მეგობრები აცილებენ თბილისის საუკეთესო დამკვრელებით. ქუთაისში სასამართლოსაკენ მიმავალს ფეხსაცმლის მწმენდავები მისდევენ და "ნახადუ" უპრიალებენ ჩექმებს.

კუკუს სასამართლო ამართლებს.

აბა როგორ შეიძლება ჩვენს უბანს ასეთი კაცი გამოაკლდეს.

– კუკუ ბიძია შენ ადგილზე უნდა იყო ქალაქის კოლორიტი რომ არ დაირღვეს.

თბილისში მოღვაწეობენ ცნობილი ფოტოგრაფები ხელოვნები: ჟვანია, კოზაკი, მინჯოიანი, და როგორ შეიძლება არაფერი ითქვას ჩვენს მეზობელ ძია სარქისაზე. ალაყაფის კარებიდან სარქისას ოთახამდე თოკია გაბმული. გამოსწევ ზარი ირეკება, ღამე ისე ეზოში ვერ შეხვალ თუ სარქისამ კარი არ გაგიღო. ეზოში წესრიგს სარქისა ამყარებს, მეზობლებში კონფლიქტსაც აგვარებს. აბა ეუ ვიჯი ხარ ეზო დაანაგვიანე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბედნიერია ის კაცი ვინც თბილისელია. სიამაყის გრძნობით გევსება გული - გალაქტიონთან ერთა დროს გიცხოვრია, ერთ დროს გივლია ამ ქალაქის ცის ქვეშ. გიქეიფნია კიდეც რამდენჯერმე მასთან. ჩვენს მეზობლად გალაქტიონის მძღოლი კოტე ცხოვრობდა. ბრწყინვალედ უკრავდა გიტარაზე და მღეროდა ჩვენ სამნი კომკავშირის ხეივანზე უბრალო, მაგრამ გალაქტიონის სუფრასთან ვყოფილვართ. ბედნიერება მქონდა რამდენჯერმე ბატონ კონსტანტინესაც შევხვედროდი. ერთხელ ჩვენი რაიონის საზოგადოება "ცოდნის" მდივანმა ლილა წერეძემ და რაიკომის თანამშრომელმა ლამარა გაგუამ რესტორან "კრწანისში" მოაწყვის შეხვედრა შოთა რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატებთან. შეხვედრას ბატონი კონსტანტინე და ილგუჯა ამაშუკელი დაესწრნენ. თამადათ მე ამირჩიეს! წარმოიდგინეთ ჩემი გაჭირვება. ბატონი კონსტანტინე სუფრის წევრი მე თამადა. რა თქმა უნდა ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ბატონ კონსტანტინეს თავი როგორმე კარგად ეგრძნო. სიმღერაც გამოგვივიდა. ვატყობ მოსწონს კონსტანტინეს. მეუღლესა და ექიმს რომელიც თან ახლდა შეუბღვირა - ნუ მიშლით ღვინის სმასო. ქეიფი, რომ დამთავრდა მითხრა: არა უშავს რა კარგად ჩაატარე სუფრა იმიტომაც დავრჩი ასე დიდხანს.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციებს ვაცდენთ იმიტომ, რომ უნივერსიტეტში შალვა ნუცუბიძის საჯარო ლექციები ტარდება. არის მეორე მიზეზიც, ჩვენს ჯგუფში ქალიშვილების უკმარისობაა, უნივერსიტეტში კი პირიქით.

- გამომიძახა ერთმა დიდმა კაცმა ციხიდან - ამბობს ბატონი შალვა, მითხრა: Мы дадим Вам возможность закончить перевод Витязя ვიფიქრე: дадут закончить а потом прикончат. მაგრამ ასე არ მოხდა, გაანთავისუფლეს ბატონი შალვა პატიმრობიდან.

ალექსეი ტოლსტოის აქვს ნათქვამი: ჩვენ ყველანი ვიყავით დარწმუნებული, რომ რუსთაველი არის ის, ვისაც ჩვენ ცუდი თარგმანის გამო დღემდე არ ვიცნობდით და მხოლოდ შევიგრძნობდით, ახლა კი მთელი დიდებულება მისი პოემისა გახსნილია ჩვენთვის ნუცუბიძის თარგმანით.

გალაქტიონის იუბილე ოპერისა და ბალეტის თეატრში - მომხსენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბელი შალვა ნუცუბიძე. მოხსენებას რა თქმა უნდა ზეპირად აკეთებს. ვინ უნდა იყოს ან იქნება ასეთი ორატორი. ღმერთმა ქნას, რომ ქართველ ხალხს მომავალშიც გაუჩნდეს სიტყვის ამგვარი ჯადოქარი.

- მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" დადგმა ვახტანგ ტაბლიაშვილისა - შალვა ღამბაშიძის, სესილია წუწუნავას, სესილია თაყაიშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, კაკო კვანტალიანის, სანდრო ჟორჟოლიანის, გიორგი შავგულიძის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ვასო გოძიაშვილის მონაწილეობით. ამდენი ვარსკვლავი ერთ სპექტაკლში გაერთიანებული. ბრწყინვალე სანახაობა, რეჟისორულად მაღალნიჭიერად გადაწყვეტილი.

- სპექტაკლი "მზის დაბნელება საქართველოში" - ნიკო გოცირიძის მონაწილეობით.

ნიკოს მხოლოდ ერთი სიტყვა - ნათლიმამ სად დავჯდე აქა?

რუსთაველის თეატრის სპექტაკლები "ოტელო" და "დიდი ხელმწიფე" აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის მონაწილეობით, "დიდი ხელმწიფე" ჩვენს ქვეყანაში ერთდროულად ექვსმა თეატრმა დადგა, გაიმარჯვა თბილისის დადგმამ. დიდი ხელმწიფის როლის საუკეთესო შემსრულებლად კი აკაკი ხორავა აღიარეს.

ოპერისა და ბალეტის თეატრში იმ დროს მოღვაწეობდნენ ჩვენი საოპერო ხელოვნების კორიფეები დავით ანდღულაძე, სანდრო ინაშვილი, ლადო კავსაძე, პეტრე ამირანაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, დავით გამრეკელი.

საგასტროლოდ ჩამოსული სტუმრები: კიფარენკო, მიგაი, დავიდოვა.

- ალიოშა წუწუნავას ბრწყინვალე სპექტაკლი "ქეთო და კოტე" ლადო კავსაძის და წარმოიდგინეთ ეპიზოდური როლების ბრწყინვალე შემსრულებლების პივოვაროვასა და ბარხუდაროვის მონაწილეობით.

ქეთო ჯაფარიძის სოლო კონცერტები იმავე თეატრში.

ვახტანგ ჭაბუკიანის ჯერ კონცერტული შესრულება ბალეტისა მერე კი სპექტაკლები, ლაურენსია, დონ-კიხოტი, სინათლე, მთების გული. ისეთი შთაბეჭდილება გიქმნება ვახტანგის ცეკვას რომ უყურებ თითქოს ამოფრინდება დარბაზის მე-4 იარუსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბადლო კლოუნის ვიტალი ლაზარენკოს გასტროლები სახელმწიფო ცირკში.

სუხიშვილისა და რამიშვილის ხელმძღვანელობით ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველი კონცერტები.

ისე თბილისელი საზოგადოება ძალზე გამოუცნობია. ანსამბლმა პოპულარობა მხოლოდ მაშინ მოიპოვა ქართველ მაყურებელში საზღვარგარეთის გასტროლებისას რომ აღიარეს. თითქოს ქართული ცეკვას პოპულარიზაციისათვის უცხოელების აღიარება სჭირდებოდეს.

- პარიზიდან ახლად დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილის ლექციები კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ლექციები საქართველოს ისტორიიდან. მერე კი ექვთიმეს დაკრძალვა. 47 კაცი რომ ესწრებოდა. ესეც საკვირველია, ერთი ნარკომანი გოგონას დაკრძალვას ზღვა ხალხი დაესწრო, რუსთაველის გამზირზე დიდი ხნით შეჩერდა მოძრაობა აქ კი . . .

ბევრი რამ გამოუცნობია თბილისში - საესტრადო მომღერლის კონცერტებს ზღვა ხალხი ესწრება. გადატენილია ფილარმონიის დიდი დარბაზი თუ სპორტის სასახლე. ოპერისა და ბალეტის თეატრში კი სპექტაკლ "აიდაზე" ზურიკო ანჯაფარიძის მონაწილეობით 50 კაცი ძლივს დავთვალე.

თბილისს ახსოვს კიდევ ბევრი რამ.

- ზურიკო ანჯაფარიძის გამოჩენა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე.

- ნახუცრიშვილის სპექტაკლი "ნაცარქექია" მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

- ბატონ კონსტანტინეს და ვიქტორ შკლოვსკის პაექრობა ჟურნალ "მნათობის" ფურცლებზე.

- ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონიის აჟღერება.

- იაკობ ნიკოლაძის სკულპტურული პორტრეტის "ჩახრუხაძის" შექმნა.

- მიტროფანე ლაღიძის უკვდავების სასმელები.

- ციგნების თეატრის "რომენის" გასტროლები - ლიალია ჩერნაიას მონაწილეობით.

- რუსთაველის პროსპექტი - ზოგჯერ იტყვიან ეს ბიჭი ქუჩაში გაზრდილსა ჰგავსო. მათზე ვინც რუსთაველის პროსპექტის მუდმივი ბინადარი

იყო ეს ალბათ არ შეიძლება ითქვას. ეს პროსპექტი ჩვენთვის სადისკუსიო ადგილი გახლდათ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ფიზიკაში, სპორტში. აქ იბადებოდა არაერთი მოსწრებული სიტყვა, ოხუნჯობა. ამ პროსპექტმა მისცა დასაბამი, ჩაუყარა საფუძველი არა ერთი სახელოვანი კაცის გამოჩენას.

რუსთაველის გამზირი:

ნუგზარ გუნცაძე – ნუგზარი შემდგომ ალმასკომის თავმჯდომარის პოსტზეა

– მიღებაზე მივიდა მანდილოსანი, რომელიც ურიგოდ ითხოვს ბინას –ბატონო ძალიან ნიჭიერი ბავშვი მყავს და წარმოიდგინეთ ბინის სივიწროვის გამო როიალი ვერ დაგვიდგამს.

– ქალბატონო რა ვქნა ბინას ვერ მოგცემთ ურიგოდ, გადაიყვანეთ ბავშვი "სკრიპკაზე".

გივი ხომერიკი – გივი სარდაფის ტიპის ოთახში ცხოვრობს. ვირთხების სიმრავლეა, შექმნა საკუთარი კონსტრუქციის ხაფანგი. აი ნახეთ გვეუბნება პირველი საკნიდან ვირთხა გადადის მეორე ლაბირინტში და ა.შ. – ვირთხები საკვებს შეექცევიან ხაფანგში არ ებმებიან.

გივი, ეუბნება გივი დარჩია – მაგ ხაფანგში ვირთხა რომ გაება უნდა შეისწავლოს ლაბირინთები სულ ცოტა შენ ვირთხას მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მაინც უნდა ჰქონდეს.

კუკური ჟღენტი – თბილისის ლოთების პრეზიდენტი. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს კონსტანტინე ერისთავს სტუმრები ეწვივნენ. შეიყვანა აუდიტორიაში და ერთი სტუდენტი (კუკური ჟღენტი) ბატის ფრთით სწერს კონსპექტს.

ეს სტუდენტი ბატონებო მაშინ შემოვიდა ინსტიტუტში კალამი რომ არ არსებობდა და ბატის ფრთით სწერდნენ – უხსნის ბატონი კოწია.

რომეო კვიცარიძე – ახალგაზრდობიდანვე იცოდა კარგი გოგოების ამორჩევა, უიღბლობით თუ სხვა მიზეზით რჩეული გაუთხოვდა – ვალია გაჰყვა კინემატოგრაფიის მინისტრს, ლამარა ცენტრალური კომიტეტის მდივანს და დაარქვა გივი ხომერიკმა " Снабжение Правительства".

ჯევან მოსეშვილი – ნიჭიერი კაცი. აგული სოხაძემ უთხრა ერთხელ –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან, შენ რომ ეს ნიჭი წალმა საქმეში გამოგეყენებია აქამდე სამგზის აკადემიკოსი იქნებოდიო. ლევანი მუშაობს სოხუმის სანეპიდსადგურის უფროსად. ჩასვლისთანავე გაყიდა წითელი ცხენი – ჩამოვიდა რევიზია სანეპიდსადგურს ცხენი ერიცხება. რა ქნას ლევანმა სამხედროებს გამოართვა მკვდარი ცხენი. შეღება წითლად წამოვიდა წვიმა, ჩამორეცხა საღებავი, ცხენი ისევ გათეთრდა. რაღა ქნას ლევანმა.

გივი ბაქრაძე – ინჟინერ მექანიკოსი, კარგი სპეციალისტი. ცოტა უცნაური და დაბნეული. გივი მიდის პოლიტექნიკური ინსტიტუტის "არსენალის' კორპუსში. გზაზე ხვდება გივი დარჩიას ეკითხება:

– გივი არ გინახავს?

– არა არ მინახავს

ბრუნდება სახლში. ისევ ხვდება გივი დარჩიას.

– ბიჭო არა გრცხვენია შენ, რომ შემხვდი რატომ არ მითხარი თუ შენ იყავი.

– გივი ეკითხება ოთარ კვიცარიძეს:

– ოთარ, რობიკოს მამას არ გახსოვს რა ჰქვია?

– არ მახსოვს.

– მაინც დაახლოებით?

– ეკითხებიან – გივი, რომელი საათია?

– როდის ეხლა?

– გივი ქრისტე აღდგა!

– ვიცი აზრზე ვარ.

ვახტანგ ალანია – ინჟინერი, მშენებლობის კარგი ორგანიზატორი;

ვახტანგის თეორიულ მექანიკის ლექტორი ბაგრატ მანჯგალაძე ნიშანს არ უწერს. ვახტანგიმ იცის პატივცემული ბაგრატის მიდრეკილება. დაიყოლია მეზობელი ცოტა "იმნაირი" ყოფაქცევის ქალი. დაპატიჟა ბაგრატი სახლში, მერე რაღაც მოიმიზეზა და სადღაც გავიდა. ქალს მიცემული აქვს დავალება. გადარია ბაგრატი.

რამდენიმე დღის შემდეგ ინსტიტუტში უხმობს ვახტანგის ბაგრატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ბიჭო იმ ქალს ხომ არაფერი ჭირვებია?

ზურიკო ანჯაფარიძე - ზურიკოს ტიტულებისა და დამსახურების აღნუს-ხვა ზედმეტია, მაგრამ ერთი ეპიზოდი მახსოვს და ძალიან მომიცხო გულზე.

1964 წელი ლასკალას საოპერო თეატრის გასტროლები.

მოსკოვში დაპატიჟა ზურიკომ ლასკალას წამყვანი სოლისტები ქალაქ-გარეთ დიდი თეატრის აგარაკზე. ავარჯიშა და შეასწავლა მრავალჟამიერი. იტალიელებმა იმღერეს საოცრად. ნებისმიერ ქართველს რომ მოესმინა ჟრუან-ტელი დაუვლიდა ტანში.

გოგი შიოშვილი - გოგიმ მოსკვიჩი იყიდა. რჩევა გვკითხა ლაქები აქვს მანქანას რითი გავწმინდოთ. კარაქით, ეუბნება ოთარ სვანიძე, კარ-გად აპრიალებს. მეორე დღეს ოთარი ვითომ ჩვენ გვიყვება ამბავს ისე გოგის გასაგონად კი ამბობს - მოვდივარ ჭონქაძის ქუჩაზე რას ვხედავ კაცო ერთ მანქანას დასევიან ძაღლები და ლოკავენ.

მიხვდა გოგი, მაგრამ კაი დროსია.

- ძია ვანო - იქ სადაც ბორჯომის წყლით მოვაჭრე მაღაზიაა ურიკით სიგარეტს ჰყიდის. ჩვენ განგებ ვეკითხებით ძია ვანო ვაშლი არა გაქვს? ასე რიგრიგობით. ძია ვანოს მოთმინება ევსება. ამ დროს უნივერსიტეტიდა ორი ნაცნობი ახი ციალა მოდის მგალობლიშვილი და ივანიძე.

გოგოებო იცით რა ეუბნება გივი ხომერიკი - აი, ის კაცი კარგ ვა-შლსა ჰყიდის, ჩვენ ბევრი გამოვართვით და გვერიდება იქნებ ეხლა თქვენ თხოვოთ.

- ძია ვანო, მიუახლოვდნენ გოგოები, ხუთი მანეთის ვაშლი მოგვეცით უნდა გენახათ ძია ვანოს გამომეტყველება და რისხვა.

ლა: ძველი თბილისური ანეგდოტები:

მატარებლით მგზავრობდნენ საქო და სიკო. საქოს ზედა საწოლზე სძი-ნავს. უცებ დიდი რაღაც დაეცხო იატაკზე

- საქო რაა მოხდა?

- კაცო ჩემი პალტო გადმოვარდა

- მერე ეგეთი ხმა რაღ იყო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ვა, პალტოში მე ვიყავი შახვეული.

ახალგაზრდა ქალს გულმკერდზე თვითმფრინავის ნიშანი უზნევია.

სიკო აკვირდება

- რა ჩემი აეროპლანი მოგწონთ?

- არა ქალბატონო, აეროდრომი.

ცირკში ილუზიონისტი აცხადებს:

- აი, უყურეთ ამ ორ ბოთლს. ხომ ხედავთ ერთი ცარიელია, მეორე წითელი სითხით სავსე. მე რომ ვიტყვი ჰოპ, ბოთლები ადგილს შეიცვლიან.

ეგ რა ფოკუსია, ყვირის მაყურებელთაგან საქო. აი აქ რომ გრიქულა ზის კვარტს რომ არ მოიყუდებს წითელი ღვინით სავსეს, ორ მინუტ ნახევარში გრიქულა გაწითლდება და ბოთლი კი გამწვანდება, აი ფოკუსი ეს არის.

და ჟურნალ "ნიანგის" ეპოქალური ნაკვესი. მაღაზიაში შედის პოქალაქე ეუბნება გამყიდველს:

- კაცო არა გრცხვენია ბორჯომს რომ მალავ?

- როგორ გეკადრებათ ბატონო. აბა ნახეთ ამ ბოთლს რა აწერია: " შეინახეთ ბნელ ადგილას დაწოლილ მდგომარეობაში"(ადრე ეწერა ბორჯომის ბოთლს).

ძნელად მოიძებნება ჩვენი თაობის.თბილისელი ფეხბურთი თავდავიწყებით რომ არ უყვარდეს. ფეხბურთს ვთამაშობთ აივანზე, ეზოში სკოლის ეზოში, ქუჩაში, ვაკეში "პლანეროდრომზე" (იქ სადაც ეხლა ვაკის პარკია) ქუჩაში იშვიათად გვიშლის ხელს გამომვლელი ავტომანქანა და მილიციის უბნის ინსპექტორი უკბილო ჩიქოვანი. ზედმეტ სახელად "ჩიფჩიფა". ეხლა იმავე ქუჩაზე დიდხანს უნდა ელოდო მანქანის განუწყვეტელი ნაკადის შეჩერებას ქუჩის მეორე მხარეს რომ გადაინაცვლო. ფეხბურთის თამაშებს ეესწრებით საბჭოთა კავშირის პირველი პირველობის დაწყების დღიდანვე.

რა თქმა უნდა ჩვენში კერპი "თბილისის დინამოა," მისი გამარჯვება თუ მარცხი ჩვენი სიხარული და სევდაა. თამაშზე ფიქრს და სჯა ბაასს რამდენიმე დღით ადრე ვიწყებთ. თამაშის შემდეგ კი ისევ რამდენიმე დღეს განვაგრძობთ და საერთოდ იმ დღეებში ყველა ფეხბურთზე ფიქრით ცხოვრობს.

ჩვენი უბნის გუნდიდან მივავლინეთ დიდ ფეხბურთში ავთანდილ ჰაიჭაძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სპარტაკში და დინამოში. კოლია სააკაშვილი- თბილისის ოფიცერთა სახლში. (კოლია, ომი რომ არ დაწყებულიყო უფრო დიდი ფეხბურთელი იქნებოდა, ერთი თავით მაღლა იდგა ყველაზე). - ბორის ჩიტაია-მინსკის დინამოში. ისე, ფეხბურთის უბადლო კომენტატორი ეროსი მანჯგალაძეც ჩვენი უბნელია და რაც მთავარია ბორის პაიჭაძე ჩვენს უბანში ენგელსის ქუჩაზე ცხოვრობს. მისი ყოველი გამოჩენა ქუჩაში ჩვენთვის ღმერთის გამოჩენას უდრის.

თბილისში დინამოს სტადიონი ზღვა ხალხს იტევს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ფეხბურთის მატჩებს თითქოს ერთი ოჯახი ესწრება. ისეა ყველაფერი უშუალოდ თითქოს ყველა ყველას იცნობს. სანამ ტრიბუნაზე ახვალ მანამდე, შესვლის წინ თითქოს გამზადებენ თამაშისათვის. აქ ყველა ნაცნობია; მოლარე ლიდა, მზესუმზირის გამყიდველი კატუშა, ნაყინსაც ნაცნობი ნატაშა ჰყიდის - ფეხბურთის პროგრამასაც პაიკო ჰყიდის, უიმისობაც წარმოუდგენელია. მისი მეტალისებური ხმა. "*Програма футбола, сегодня играет известный Пайчадзе, Джеджелава, приехал знаменитый Федотов, приедет знаменитый Пека Дементьев.*

*ანგარიშს რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]*

თბილისელი გულშემატკივრები ობიექტურია. მეტოქეს გამარჯვებისას თუ ეს წესიერი მსაჯობის შედეგადაა მოპოვებული პატივს სცემს ყოველთვის. გულშემატკივართა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არა თუ დუბლიორთა თამაშებს, მე ალარაფერს ვამბობ ძირითადი შემადგენლობის შეხვედრებზე, გუნდების ვარჯიშსაც არ აცდენენ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ვანიჩკა კახიანი, სპეციალობით ბუხჰალტერი. ერთხელ, თამაშის დამთავრების შემდეგ ვუთხარი- ვანიჩკა, აბა, კარგად იყავი შაბათამდე (შემდეგ თამაშამდე).

- რას ამბობ ბიჭო შაბათამდე კი არა მე ხვალაც აქ უნდა ვიყო.

- ხვალ რა არის ვანიჩკა?

- თბილისის "კრილია სოვეტოვი" ვარჯიშობს.

დაიკარგა ერთხელ ვანიჩკა. გადაუტრიალდათ გული ცოლს და ახლობლებს, ბებია გამოცხადდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვიდან დეპეშა მიიღეს: "გილოცავთ თბილისის დინამოს გამარჯვებას, გკოცნით. თქვენი ვანიჩკა. გაჰყოლია ვანიჩკა დინამოს მოსკოვის თამაშზე. პენსიაზე გასვლის შემდეგ დინამოელებმა როგორც საკავშირო მნიშვნელობის გულშემატკივარი გუნდში "ულუფაზე" ჩარიცხეს, აღარ იშორებდნენ. ჩვენ ვიცოდით ვინ მოსწონდა ვანიჩკას და ვის შეცვლას აპირებდა გუნდში (მწვრთნელზე ნაკლებად არ მოჰქონდა თავი). განგებ შევაქებდი ხოლმე შესაცვლელ ფეხბურთელს. უნდა გენახათ ვანიჩკას რისხვა.

— შენ რა იცი ბიჭო ფეხბურთის — მაგ საკითხზე გუშინ მეველაპარაკეთ ანდრო ჟორდანიასთან ნარდს ვეთამაშებოდი და მაშინ. ისე გადაწყდა როგორც მე ვთქვი.

არანაკლებ გულშემატკივრები — კინორეჟისორი ლელიკო ხოტივარი და კინომსახიობი კაკო ხინთიბიძე (ორივე ყოფილი ფეხბურთელი) ინჟინერი სულიკო ნანეიშვილი, ხუტა ნადირაძე, გომეპატი ჟორჟიკა ყიფიანი და სერგო ზაქარიაძე.

სერგო გუნდის წარუმატებლობას ასე ხსნის: მე მგონია ის გუნდი აგებს რომლის შემადგენლობაშიც თამაშის დღეს 4 ფეხბურთელი კარგ ხასიათზეა, 7 კი უხასიათოდ და მოწინააღმდეგე გუნდში კი პირიქით.

აჩიკო გოცირიძე — ერთხელ ისე მოხდა აჩიკო რაიონში იყო წასული, მანქანა გაფუჭებია, თამაშს ვერ დაესწრო. დასაბმელი გახდა. საღამოს ჩვენ "ბირჟაზე" დაგვხვდა ლენინის მოედანზე, ასჯერ მომაყოლა თამაშის ყველა დეტალი.

ფეხბურთის მატჩების გაშუქებას პრესაც ოპერატიულად ეხმაურებოდა თამაშის დამთავრების შემდეგ, სტადიონიდან სანამ ლენინის მოედნამდე გამოვიდოდით ფეხით, უკვე გვხვდებოდა საღამოს გაზეთი იმ დღევანდელი თამაშის ვრცელი ანგარიშით და ფოტო ინფორმაციით.

მახსოვს შოთა იამანიძესთან და კოტე მახარაძესთან ერთად შევადგინეთ თბილისის დინამოს ყველა დროის ფეხბურთელებისაგან შემდგარი საუკეთესო ნაკრები. მეკარე შურა დოროხოვი , დაცვა-ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი ნახევარდაცვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, თავდასხმა ჯარჯი ჯეჯელავა, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი. მწვრთნელი ჟიულ ლიმბეკი. ასეთი შემადგენლობით მსოფლიოს ნებისმიერ საკლუბო გუნდთან ითამაშებდა თანასწორად დინამო. გუნდში ძველი თაობის სამი წარმომადგენელია.

ძველი თაობის დამსახურება დიდია ქართული ფეხბურთის განვითარებაში. 1964 წელს მოპოვებული პირველი ჩემპიონობაც მათი დამსახურებაა, მათ საძირკველზე აღმოცენებული.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ადრინდელ პერიოდში უკულმართი მსაჯობა რომ არა (ამის არა ერთი მაგალითია) თბილისის დინამო არაერთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდებოდა.

აი ის ლეგენდარული წინამორბედებიც; გუნდს მათი შემადგენლობით მოსკოვში "დიდი ურუგვაელები" შეარქვეს (მაშინ ურუგვაის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი იყო).

ბორის პაიჭაძე - ფეხბურთის კარუზოდ აღიარებული.

ბორისზე არა ერთი წერილი და წიგნი დაიწერა. კვლავაც ბევრი დაიწერება. მე მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს თუ გავიხსენებ.

თბილისის დინამო ეთამაშება სტალინგრადის "ტრაქტორს". ჩემს გვერდით ხანშიშესულ კაცი ზის, თბილისის სტუმარსა ჰგავს. შემეკამათა: დღეს პაიჭაძე არ თამაშობსო. ბორისი მართლაც შეხვედრის პირველ ნახევარში თითქოს ჩრდილშია არ სჩანს. დაიწყო შეხვედრის მეორე ნახევარი. ბორისი გვერდს უვლის რამდენიმე მოთამაშეს, მეკარესაც, ურტყამს კარისკენ. ბრუნდება უკან ცენტრისკენ ისე რომ ბურთი ბადეში არც უნახავს დარწმუნებულს, რომ გოლია.

- ეს ნამდვილად პაიჭაძეა აბა სხვას ვის შეუძლია ასე თამაში მობრუნდა ჩემი მეზობელი. ბოდიშს გიხდი ყმაწვილო რომ უცოდინარობა გამოვამჟღავნე.

- თბილისის დინამო მოსკოვის ტორპედოს ეთამაშება. ბორისმა ბურთი მიიღო ჩვენს საჯარიმო მოედანზე, იქვე აუარა გვერდი ერთ მოსკოველს, [illegible] ცოტა წინ წაიწია მეორესაც აუარა გვერდი. გადასცა ბურთიანად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცენტრალურ ხაზს, ატყუებს მესამეს, მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანთან ატყუებს მეოთხეს, მიუახლოვდა საჯარიმო მოედანს მარცხენა ფეხით ათავსებს ბურთს კარის ახლო კუთხეში. მეკარე ანატოლი აკიმოვი დატყვევებულსა ჰგავს ბურთს თვალს აყოლებს. ეს იყო ოსტატობის როგორც იტყვიან უმაღლესი პილოტაჟის ნიმუში. ასე თამაში უცხოურ და საბჭოთა ფეხბურთში მხოლოდ ერთეულების რჩეულთა ხვედრია.

თბილისის დინამოს თამაში აქვს კუიბიშევში კრილია სოვეტოვთან. კუიბიშევის ოლქის ერთერთი პატარა ქალაქიდან, სადაც დუბლიორთა მატჩია დანიშნული. გულშემატკივართა კოლექტიური წერილი მიიღო დინამომ. გულშემატკივრები სინანულს გამოსთქვამდნენ – ალბათ ვერასოდეს ვიხილავთ პაიჭაძისა და ჯეჯელავას თამაშსო. გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დუბლიორთა მატჩში მონაწილეობის მისაღებად ექვსი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გაეგზავნა გაიოზ ჯეჯელავას მეთაურობით. (ბორისი ტრამვის გამო იმხნად ვერ თამაშობდა) თამაში რა თქმა უნდა თბილისელების გამარჯვებით დამთავრდა. ჯეჯელავამ 4 ბურთი გაიტანა.

წარმოიდგინეთ რა სიხარული ხვდა წილად იმ პატარა ქალაქის ფეხბურთის გულშემატკივრებს. ჯეჯელავა თუ ასე თამაშობს მაშინ პაიჭაძე რაღა იქნებაო.

– ვეთამაშებით ლენინგრადის ზენიტს. სტუმრების საჯარიმო მოედანი. ას პროცენტიანი თერთმეტმეტრიანია. იმდენად აშკარა რომ მსაჯის სასტვენამდე მოწინააღმდეგე მხარის ფეხბურთელებიც კი გაჩერდნენ. მსაჯის სასტვენი კი სდუმს. გაიოზ ჯეჯელავა უცებ ქორივით ეძგერა ბურთს და გოლი გაიტანა. ეს მოხდა ალბათ სეკუნდის მეათედ ნაწილში. სანამ გონს მოვიდა. შემდეგ კი მიმართა მსაჯს; რატომ არ დანიშნე პენალტიო. ტრიბუნებზე მაყურებელთა სიცილნარევი ოვაცია. ამ ეპიზოდში ჩაქსოვილი იყო არტისტიზმიც, უბადლო ოსტატობაც.

– ვეთამაშებით მოსკოვის "მეტალურგს" – სეზონის ბოლო თამაშია. მოგებული გუნდი მესამე საპრიზო ადგილს იკავებს. გულშემატკივრებმა დინამოს თამაშის დაწყებისას საგანგებოდ დამზადებული საჩუქარი მიართვეს-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ს ტ უ დ ი ა

1945 წელს გამოცდებს ვაბარებ თბილისის კინოსტუდიის სამსახიობო ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლები დაუვიწყარია. სტუდენტებს შეხვედრები გვიხდება არა ერთ სახელოვან ხელოვანთან. გვასწავლიან ცნობილი პედაგოგები. მსახიობის ოსტატობას დიმიტრი (დოდო) ალექსიძე, რეჟისურას დავით რონდელი, ხელოვნების ისტორიას პავლე ხუჭუა, იგორ ურუშაძე, დასავლეთ ევროპის ლიტერატურას გიორგი ნადირაძე, ქართულ ლიტერატურას არჩილ ბეგიაშვილი, რითმიკას ნინო სტეპანოვა, რუსულ მეტყველებას ეკატერინა სატინა, აკრობატიკას კიწო ბადრიძე (ცნობილი მომღერლის დავით ბადრიძის ძმა). თურმე ძმები ბადრიძეები ქუთაისში განთქმული იყვნენ მუშტი - კრივში. ვაგლახად ვერავინ მოჰკიდებდა ხელს.

სტალინს 70 წელი რომ შეუსრულდა დილაადრიან კრემლში ურემზე შემდგარმა დათიკო ბადრიძემ ურმული იმღერა. ასიამოვნეს ასე იოსებ ბესარიონის ძეს დაბადების დღეს. სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელია მიშა ჭიაურელი. იმხანად მოსკოვში ცხოვრობს, მაგრამ რეგულარულად გვესტუმრება.

ჩვენი სტუდიის სტუმარია სხვა გამორჩეული ხალხიც. მაშინდელი კინემატოგრაფიის მინისტრი ბოლშაკოვი, ვსევოლოდ აქსენოვი, ვიქტორ შკლოვსკი, ნატო ვაჩნაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ქართული კინოს ერთერთი დამაარსებელი ივანე პერესტიანი, კოტე მიქაბერიძე, ლელიკო ხოტივარი, აკაკი ჯალიაშვილი, მიშა გელოვანი, მიხეილ თუმანიშვილი (მოსკოველი მიხეილი) ცაცა ამირეჯიბი, ნიკო გოცირიძე.

იმხანად სტუდიაში სწავლობდნენ: ოთარ კობერიძე, ზურა ლეჟავა, გოგი გელოვანი, ვახტანგ ნინუა, ედიშერ მაღალაშვილი, ლეილა აბაშიძე, ნანა მჭედლიძე, ვოკა მესხიშვილი, ცირა თოლორდავა, გიგა ჯაფარიძე, ტიტე ბარამიძე, გივი ტალიკაძე, ქეთო ტაკიძე, ნონა მაღალაშვილი, გურამ ტატიშვილი, ლეილა ამაღლობელი, ხუტა გოგილაძე, ლიალია შვეიკოვსკაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენი კურსის "პრიმა" დოდო ჭიჭინაძე. დოდო უაღრესად თბილი და მეგობრული. მან ზეპირად იცის თითოეული ჩვენთაგანის დაბადების დღე და ყოველთვის ახერხებს იმ გაჭირვების დროსაც ალნიშვნას.

ლექციები მსახიობის ოსტატობაში. იდგმება ნაწყვეტი ლავრენევის სპექტაკლიდან."За тех кто в море" ჩვენი კურსის ხელმძღვანელს დოდო ალექსიძეს დიდ ნიჭთან ერთად ცოტა ტრაბახისაკენაც აქვს მიდრეკილება. რეპეტიციას აჩერებს – იცით რა ამ სპექტაკლს მე ერთდროულად რუსთაველის თეატრშიაც ვდგამ. აუცილებლად უნდა ჩავიდე სევასტოპოლში – მოვხვდე წყალქვეშა ნავზე, კატარღაზე რომ ვუყურო, კარგად ალვიქვა ეს თემა. ჩვენ ვიცით რომ დოდო სევასტოპოლში წამსვლელი არ არის ისე სიტყვის მასალათ ამბობს. ერთერთ შემდგომ რეპეტიციაზე შენიშვნას აძლევს კაპიტან მაქსიმოვის როლის შემსრულებელს ხუტა გოგოლაძეს.

– ხუტა გააკეთე ისე, როგორც ამას აკეთებენ სევასტოპოლელი მეზღვაურები

– ხომ გახსოვს სევასტოპოლში რომ ვიყავით დიმიტრი ალექსანდროვიჩთან ერთად ისმის ჩემი ხმა.

დოდო უცებ აენთო – მერე სიცილი.წასკდა.

– არა უშავს რა ნათქვამია.

ერთერთი რეპეტიციის დროს ნონა მალალაშვილს ბუტაფორული ბოძი დაეცხო თავზე. – ეეჰ ამოიოხრა დოდო ალექსიძემ, ნეტავი ყოველ თქვენთაგანს იმდენი ტემპერამენტი ჰქონდეს, როგორიც ამ ბოძსა აქვს– მეტს არაფერს ვინატრებდი.

ამერიკული პიესის "ღრმა ფესვების" რეპეტიცია. დოდო ჭიჭინაძეს და მე ტექსტი გვავიწყდება ჩვენს სიტყვებს ვურთავთ.

стоп! გვაჩერებს ბატონი დოდო. დღეიდან ამ პიესას ჰყავს არა ორი, არამედ ოთხი ავტორი; ჯეიმს გოუ, არნოლდ დიუსო, დოდო ჭიჭინაძე და თამაზ ნიორაძე. შეიძლება მეხუთეც დავუმატოთ ლენა ყიფშიძე, რომელიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგივეს იმეორებს თეატრალურ ინსტიტუტში. სტუდენტების საწარმოო პრაქტიკა ამა თუ იმ ფილმის მასიურ სცენებში მონაწილეობასაც ითვალისწინებს.

ფილმი დავით გურამიშვილის გადაღება. ჩვენ ქართველ ცხენოსან ჯარში ვართ. მოწინააღმდეგე სპარსეთის ჯარი ცხენოსანი მილიციაა. რეჟისორი კოლია სანიშვილი რუპორით აცხადებს: ქართველების ჯარი უტევს, სპარსელები უკან იწევენ სპარსელებმა ქართველებს დიდი წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიონ. ჩვენც ეს გვინდა. ურტყამთ "სპარსელებს" ხის ხმლებს რაც შეგვიძლია. გადაღება მთავრდება, მილიცია ნაცემია. მილიციის სკოლას მაშინდელი კურსანტებიდან დღეს ალბათ ბევრი მაღალი ჩინის ოფიცერია, თუ ვინმეს ახსოვს ეს ეპიზოდი ბოდიშს ვიხდით. რა ვქნათ, ასე განაპირობა კინოსცენარმა.

ფილმ ქეთო და კოტეს XXXXXX გადაღებაა. იღებენ ყარაჩოღელების სცენას პიონერთა სასახლეში. მაშინდელი გადაღების ტექნიკას თუ გავითვალისწინებთ გადაღება 5-15 წუთია, შუალედი კი რამდენიმე საათი. შესვენების დროს იმართება კონკურსები სიმღერების შესრულებაში, საუკეთესო ანეგდოტის მოყოლაში. ამ კონკურსების ორგანიზატორი ყოველთვის სერგო ზაქარიაძეა. მე როგორც წარმოშობით ზესტაფონელი ბატონ სერგოს გუნდის წევრი ვარ, ძალიან უყვარს ერთი სიმღერა რომელსაც განსაკუთრებული ნიუანსებით მღერის.

ერთ საშუალებას კიდევ ვეძი
ეშმაკს დაუწყებ ვედრებას
ივებ მან მოსცხოს მალამო
ამ ჩემი სულის კვნესას.

და ჩვენთან ჩიტაძეა ჩხეიძე გიტარით. მისი შესრულებით რუსული რომანსი " Караван " - განუმეორებელია.

ფილმ "ქეთო და კოტე"-ში ქორწილის სცენას ამშვენებს ქართული "[illegible]" [illegible]. პირველ ხმას ასრულებს ჩვენი სახელოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამემამულე კოწია ლორთქიფანიძე. კარგი კოწია რომ XXXXX ჰქვია, გლახა კოწიასაგან განსხვავებით ( გლახა კოწია სხვაა, შეიძლება უფრო მიღებული მაგრამ მაინც გლახა).

ერთხელ ბატონ კოწიას და ბატონ ტუპია იაშვილს ვუთხარი, თქვენ რომ წახვალთ. ამ ქვეყნიდან ალბათ ნეკროლოგი საღამოს გაზეთშიაც არ გამოქვეყნდება მეთქი. მართლაც ასე მოხდა. არადა ვიზე არ იწერება ეხლა ნეკროლოგი. ტუპია და კოწია კი ბუმბერაზი ხალხი იყვნენ დარბაისლობის, ზრდილობის, კაცობის განსახიერება.

ისევ შესვენებაა, ტიტე ზარამიძე და მე თეთრ ჩოხებში გამოწყობილები ფაიტონით დავსეირნობთ რუსთაველის გამზირზე. ქვეყანა ჩვენი გვგონია. მიდის მაგრამ რა მიდის, ერთი ჩვენი უზნელი, წელში გამოყვანილი, მოქნილი გიტარასავით აწყობილი გოგო. ეს ისაა მის დანახვაზე ცივი ოფლი რომ დაგასხამს ზოლათ შუბლზე. მასთან ხარ მაგრამ მაინც გენატრება. მის შემხედვარეს სულ გინდა წაიმღერო:

" მაგრამ ერთი სხვისი შვილი მთელს ქვეყანას მირჩევნია ".

თვალებში ჩახედავ ისე გამჭირვალეა აქედან ბათუმი მოსჩანს. მისი უფრო მოშინაურებისათვის ფაეტონი და ჩოხაც მოგეხმარება.

ერთერთი რუსული ფილმის ქართულად გახმოვანება მიმდინარეობს. გახმოვანების რეჟისორია კოტე გრძელიშვილი. გახმოვანების დროს ფილმი ნაწყვეტებად იჭრება და ასე ხდება გახმოვანება. მონაწილეობენ კოტე დაუშვილი, ედიშერ მაღალაშვილი, გოგი გეგეჭკორი, დუდუხანა წეროძე, სანდრო ჟორჟოლიანი და სხვები. მე ეპიზოდს ვახმოვანებ ვინმე ტევიატკინისას. სანდრო ჟორჟოლიანმა სთხოვა გრძელიშვილის საქმე მაქ ქალაქში და ჩემი დღევანდელი ნაწყვეტები პირველად გაუშვითო. გამოჩნდა ეკრანზე პირველი ეპიზოდი. შემდეგ მეორე - სანდრო ვისაც ახმოვანებს ის ეკრანზე არ სჩანს. გაბრაზდა სანდრო გაიქცა. ამ დროს ეკრანზე გამოჩნდა "სანდროს კაცი". თამაზი, შენ ყველაზე ახალგაზრდა ხარ, მოაბრუნე სანდრო. გამოვეკიდე სტუდიის დიდი ტერიტორია უჭირავს. სადაც კინოსურათი ხმოვანდება გასასვლელიდან საკმარისად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორსაა. დავეწიე სანდროს მოვაბრუნე. გამოირკვა, რომ "სანდროს კაცი" ამ და შემდეგ ეპიზოდებშიაც კი ჩანს ეკრანზე, მაგრამ დამუნჯებულია,ხმას არ იღებს. გაბრაზდა სანდრო, ვის იგდებთ თქვენ მასხრათო.

- ბიჭო მომმართა მე - ესენი რომ ჯიბგირებია კი ვიცი მე, შენ რაღა დაგემართაო.

იმ პერიოდში ნატო ვაჩნაძის კინოში მოღვაწეობის 25 წელი შესრულდა. ოპერისა და ბალეტის თეატრში იუბილე გაიმართა. არც მანამდე და არც შემდგომში ასეთი თბილი, ლამაზი, შინაარსიანი იუბილე არ მინახავს. იუბილე დადგა სერგო ზაქარიაძემ.

სცენის სიღრმიდან ჩამოდის 25 თეთრი კიბე, ნატო რა თქმა უნდა სავარძელში ზის, კიბეებიდან ჩამოდიან ქართული კინოს მსახიობები კოსტუმებში და გრიმებში. ესალმებიან ნატოს სპეციალურად ამ საღამოსათვის დაწერილი ტექსტით..

ჩამოდის ჯგუფი ფილმიდან "დაკარგული სამოთხე" ემანუილ აფხაიძე, გიორგი სალარაძე, სტეფანე ჯაფარიძე, მიხეილ ჩიხლაძე, ბიძინა წულაძე, მიშა ბეჟუაშვილი სიმღერით "ზესტაფონო გშორდები". ნატოს მიართვეს დიდი ერთმეტრიანი სპეციალურად დამზადებული ბოთლი წარწერით-ტყემალი.

" ვიცი ვახშამს გადაიხდი, დაგჭირდება ეს ტყემალი".

ჯგუფი, ფილმიდან "ნარინჯის ველი" კოსტაიას - სანდრო ჟორჟოლიანის მეთაურობით. ჯგუფში მეცა ვარ. ოთარ კობერიძე, სანდრო კობალაძე, ჟორა თოლორდავა. მიესალმა ნატოს კოსტაია და დაზრდილი ბარდღუნია და სხვა შვილები. გახსოვ ნატალია, ეუბნება სანდრო პატარა ბარდღუნია? ეხლა გეიზარდა ავიოკონს დირექტორია და ა.შ. ტექსტს რომ დაამთავრებდა რეპეტიციაზე ჩაფიქრებული იყო სანდროს უნდა წამოეწყო სიმღერა ჩვენ ავყოლოდით.სანდრომ ისეთი უცნაური ხმით წამოიწყო სიმღერა ჩვენ დავიბენით და ვერ ავყევით. მაყურებელმა ვერ შენიშნა ჩავარდნა, სერგო კი თვალებს გვიბრიალებს კულისებიდან.

ნატოს ესალმებიან "ყარაჩოღელები" ფილმ "ქეთო და კოტედან",სერგო ზაქარიაძე -"გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ, თვალს გავახელ ზედ წამწამზე მიზიხარ".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესალმება სპარტაკ ბაღაშვილიც.

სპარტაკი მიპატიჟებულია ი.ბ. სტალინთან საქართველოს სხვა გამოჩენილ ხელოვნების წარმომადგენლებთან ერთად. ჩვენ ვიცით ეს ამბავი. ვაბარებთ სპარტაკს ბელადთან პრეტენზიებს მსაჯებზე. რატომ ავიწროებენ მსაჯები თბილისის დინამოს, ასე ხომ არასდროს გველირსება ჩემპიონობა, საინტერესოა რას გიპასუხებს. დაბრუნების შემდეგ ვეკითხებით, რა ქენი უთხარი?

- კი უთხარი.

- მერე?

- მერე მითხრა რა, ქართველებს მაინცდამაინც პირველები გინდათ იყოთ?

დაუვიწყარია შეხვედრები მიხეილ გელოვანთან. ის ყოველთვის გამონახავდა დროს ჩვენთან შესახვედრად. "დეზერტირების" ბაზართან განთქმულ "იონას" დუქანშიც კი მიგვიწვევდა ხოლმე სტუდენტებს. ბატონი მიშას ბინა მოსკოვში, თბილისიდან ჩასული ხალხისათვის სასტუმროდ იყო ქცეული.

ბატონი მიშას მოგონებიდან:

დამთავრდა კინოფილმ "ფიცის" გადაღება. სურათი მიართვეს სტალინს. გადის რამდენიმე დღე, ორი კვირა, პასუხი არაფერია. მიშა ჭიაურელი დარდით ლოგინად ჩავარდა იფიქრა არ მოეწონათ. დაახლოებით სამი კვირის თავზე გვიბარებენ მე და მიშას. საღამო ხანია. სახლში ვარ წვერგაუპარსავი. დამადგა გენერალი თავზე. უცბათ შემაგდეს საპარიკმახეროში. მიშა ჭიაურელი უკვე იქაა. შევედით. სურათი კარგია, გვიუბნება სტალინი, მაგრამ რამოდენიმე ეპიზოდი ამოსაღებია. მათ შორის ცეკვა ქართული. ამ სურათში ქართული ისიც საკმარისია მე რომ ვარ, დანარჩენი საჭირო არაა.

სტალინი ჩინებულად მღერის. საქართველოს პირველი დელეგაციის მიღებისას 1936 წელს სანდრო კავსაძისათვის უთქვამს: " გახსოვს სანდრო სამტრედიაში შენს გუნდში ვღებულობდი მონაწილეობასო.

პოლიტბიუროს წევრები გაისტუმრა, დავრჩით სამნი. ჰოდა სამმა ვიქეიფეთ ზღაპრულად. მეც არა მიშავს სიმღერაში და მიშა ჭიაურელი თქვენც კარგად მოგეხსენებათ როგორ მღერის.

ერთხელ სტუდიაში ცნობილი ქართველი კინოდრამატურგი გიორგი (ყორუ-ი.ძ) მდივანი გვესტუმრა მიშა გელოვანთან ერთად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭებო, იცით, ლოპე დე ვეგას თურმე 2800 პიესა ჰქონია შექმნილი, არც ყორჟიკასა აქვს მგონია ნაკლები. თუ ჩავარდა საქმე ერთ კვირაში გამოაცხობს სცენარსა თუ პიესას. ჰოდა ეს ყორჟიკა მდივანი კი არ არის, ამიერიდან მას მე ლოპე დე ყორჟი შევარქვი.

სტუდიის დამთავრების შემდეგ ეკითხებიან ჯიმშერ კასრაძეს:

- ბიჭო სად გაგანაწილეს?

- ХАТШ-ი

- შენ ალბათ გელანდება

- არაფერი არ მელანდება МХАТ-ში კი არა ХАТ-ში ე.ი. ხაშურის თეატრში.

ჩვენ ყოველთვის ბატონ მიშას მოსაგონლებლად "ნოვო დევიჩის" სასაფლაოზე მის საფლავზე თითო შუშა ღვინოს შევექცეოდით. სხვადასხვა მიზეზების გამო ჩემი ხელოვნებაში დარჩენა არ მოხერხდა. დავუბრუნდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტს.

ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი პარმენ ბოჭგუა. სითბოს მატარებელი საოცარი კაცი. გაჭირვებული სტუდენტის ქომაგი, პატრონი. ჩვენი სახელოვანი ლექტორები: ალიოშა კაკუშაძე, გიორგი მუხაძე, პარმენ ურიდია, მირონ წულეისკირი, ალიოშა რაზმაძე, დომენტი მშვენიერიძე.

ალიოშა კაკუშაძეს ვაბარებთ ნაშენთა სტატისტიკას. მთელმა ჯგუფმა ჩააბარა, დარჩა მხოლოდ ერთი ვახტანგი. ალიოშა ნიშანს არ უწერს.

- ბიჭო რომ გეთქვა ოთხჯერ ორი ხუთიაო დაგიჯერებდი, მარა შენ ამბობ ორჯერ ორი ქაღალდია, აგურია აბა როგორ დაგიჯერო. ქუთაისში ერთი ერმილე ხეცაძე იყო. გამოეკიდებოდა სახანძრო რაზმს. ასე ეგონა ხანძარს ვაქრობო. ასე დასდევთ თქვენ ჩემო ძმაო სწავლას.

დომენტი მშვენიერაძის ლექციაა ფუძე საძირკვლებში, სამი საათი თანმიყოლებით. ჩვენ გაპარვა გვინდა. ვადავწყვით დავრჩეთ პირველ საათზე შემდეგ კი . . . დავრჩით პირველ საათზე მაგრამ წასვლა აღარ გვინდა. ამ მოსასმენად მძიმე უინტერესო საგანს ბატონი დომენტი საოცრად საინტერესოდ კითხულობს. ლექციის შემდეგ ჯგუფმა ოვაცია გაუმართა. ბატონ დომენტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია "სამშენებლო ტექნიკის ისტორია საქართველოში", იქ სწერია: იმერეთში ორი სახის ურემია "აჩაჩა," მარხილებიანი და ხელნა ურემი. ხელნა ურემს მთაგორიან ადგილებში სავალად მუხრუჭები აქვს მოწყობილი. სალტები ბორბლებზე, შემდეგ თოკი და ბერკეტი. ჰოდა აქედან გამომდინარე მუხრუჭი ძველად საქართველოშია გამოგონილი. კაზანცევის მატროსოვის და ვესტენგაუზის მუხრუჭები მერეა შექმნილი ამ ბაზაზე. კოლია მალცევი და დომენტი გვეკითხებიან: თქვენ თუ იცით ციგანმა ქურქი როდის გაყიდა?

- ეს შეკითხვა საგამოცდოა?

- არა ისე.

რა თქმა უნდა არ ვიცით. პასუხობს თვითონ კოლია მალცევი. ციგანს ქურქი თურმე შობას (ე.ი. იანვრის დასაწყისში) გაუყიდია. აწი ზამთრის გავლას რაღა დარჩაო.

მიმდინარეობს ინსტიტუტის ფაკულტეტებს შორის ოლიმპიადა. ჩვენ შევქმენით ლიტერატურული კომპოზიცია და ინსტიტუტის ჩემპიონობა დავისაკუთრეთ. ჩვენი დეკანი პარმენ ურიდია გახარებულია. ლექციის ნაცვლად ხის კონსტრუქციებში საუბარი ოლიმპიადაზეა.

- ბიჭებო პრაქტიკაზე მოსკოვში გაგზავნა ჩემზე იყოს.

-მართლაც გვაგზავნის.

ჩვენ ფაკულტეტის საკმარისად ძლიერი ფეხბურთის გუნდი გვყავს. ჩვენი კალათბურთელებიც საკმაოდ კარგად თამაშობენ. ვეცადეთ რომ არ ჩამოვრჩენილიყავით ჭიდაობაშიც. ქუთაისში ტარდება საქართველოს პირველობა ჭიდაობაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ქვემძიმე წონაში გავაგზავნეთ კაკურია, ასათიანი. ამ წონაში თურმე სულ ორი სპორტსმენი მონაწილეობს. მოწინააღმდეგემ კაკურია პირველ წუთზევე ბეჭებზე გააკრა. ასე დავისაკუთრეთ მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი.

მაშინ განთქმული ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლშიაც ჩვენი ფაკულტეტი ფართოდაა წარმოდგენილი. ჩვენი ჯგუფიდან ბევრი სახელოვანი მოქალაქე დაიბა არ დაგვკლებია მეცნიერები, მინისტრები, წარმოების ხელმძღვანელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი თბილისის აღდგენა რესტავრაციის სამუშაოები ჯერ კიდევ 1964 წელს დაიწყო ჩვენი დავალებით. კიროვის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ანტონ მაჭარაშვილმა შეისწავლა და წარმოადგინა 48 ისტორიული სახლისა და ნაგებობის ნუსხა. რაიონის სარემონტო კანტორის ძალებით დაიწყო რეკონსტრუქცია ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე ორი სახლისა, სახლებისა ერეკლესა და ლესელიძის ქუჩებზე. მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახი იყო იმ დიდი სამუშაოებისა, რომლებიც უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს, მაგრამ ამ დიდ ეროვნულ საქმის საფუძველი მაშინ ჩაეყარა. ხელმძღვანელობდნენ ამ სამუშაოებს რაიკომის პირველი მდივანი თენგიზ ბელტიხინი და აღმასკომის თავმჯდომარეები, ჯერ შოთა კულულაშვილი, შემდგომ შოთა ქუტიძე. მაშინ დაიწყო გოგირდის აბანოების რეკონსტრუქცია.

შოთა ქუტიძე ლენინგრადში იცავს დისერტაციას თემაზე: "ბოლნისის რაიონის მევენახეობის სავაჭრო ურთიერთობანი". მიმდინარეობს დაცვა. ერთ-ერთი სამეცნიერო საბჭოს წევრი ეკითხება შოთას. ამხანაგო ქუტიძე რა აუცილებლობას. წარმოადგენდა თქვენი დისერტაციის აქ ლენინგრადში დაცვა. პასუხი: მე ლენინგრადში ვიყავი ბლოკადის დროს. დავიჭერი კიდეც, შოთამ ჭრილობამიყენებული ხელი აღმართა. მაშინ რატომ არავინ მითხრა რა სავალდებულოა თქვენი აქ ყოფნაო.

ამ პასუხს დამსწრეთა აპლოდისმენტები მოჰყვა. რა თქმა უნდა დისერტანტს ყველამ მისცა ხმა.

სამუშაოები 300 არაგველების ობელისკის აღმართვისა დამთავრდა. ავტორი არქიტექტორი საშა ბაქრაძე მეუბნება. პროექტით აქ გათვალისწინებულია მუდმივი ცეცხლის მოწყობა. ამ საკითხზე არავინ არ ფიქრობს. ძალიან გახოვ, ითავო ეს საქმე აღარც ფული დარჩა ამისათვის. თუჯის სხმულისათვის ძაღტურული ყალიბის გაკეთება დავავალე ხელოსანს ახალგაზრდა, მაგრამ თავისი საქმის ვირტუოზს ალბერტ ზაიდაკს. ყალიბის მიხედვით სხმული ჩამოვასხით. გაზგაყვანილობის გაკეთება ჩემმა მეგობარმა ტრესტ ინჟმშენის მთავარმა ინჟინერმა ნოდარ ლუხუტაშვილმა ითავა. ეს ყველაფერი უსასყიდლოდ შესრულდა. მუდმივი ცეცხლი ეხლაც ანთია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერეკლეს ქუჩაზე მდებარეობს სახლი, სადაც ოჯახური თეატრი ფუნქციონირებდა. ეს თეატრი აღდგენას მოითხოვს. ალბათ აღადგენენ კიდეც. მაშინ დამთავრდა ეხლა ულამაზესი გორგასალის ქუჩის რეკონსტრუქცია.

ერთხელ ძველი თაობის დელეგაცია მეწვია ლევან იოსელიანის მეთაურობით. შემომჩივლეს, არჩილის სასახლეა ცუდ დღეში, მობინადრეები ცხოვრობენ, შენობა დაზიანდა, საჭიროა ოჯახების გასახლება და სასახლის აღდგენ მე მოვახსენე რაიკომის პირველ მდივანს ბორის ბარსუკოვს. მერე მოხდა ისე, რომ ხელმძღვანელობამდე ეს ამბავი გრიგოლ აბაშიძის მეშვეობით მივიდა დაიწერა მოხსენებითი ბარათი. დაიბარეს ბორის ბარსუკოვი რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და მადლობა უთხრეს, ყოჩაღ, შენ ეროვნებით რუსი როგორ ზრუნავ ქართული ისტორიული ძეგლების აღდგენაზეო. ბორისი დაბრუნდა ღიმილით გვეუბნება: დავიბენი, ვერაფრის თქმა მოვახერხე და ეს არა ჩემი მისამართით შექება კი შემრჩაო. არჩილის სასახლეს იმავე წელს გაუკეთდა რეკონსტრუქცია. დღეს იქ თეატრალური მუზეუმია.

ერთხელ დაიბადა იდეა და განხორციელდა კიდეც. შოთა ყავლაშვილმა დააპროექტა ტივი ხის მაგიდებითა და სკამებით, ძველებური ფანრებით. ტივი გაკეთდა. რესტორან "კრწანისს" მიაბეს მდინარე მტკვარზე. სამუშაოებს მაშინდელი რესტორნის დირექტორი შოთა ირემაშვილი ხელმძღვანელობდა. რამდენი საღამოა მოსაგონარი ტივზე გატარებული. დუდუკებით, გიტარით, არღანით არაერთი სტუმარი ჩვენი ქვეყნიდან თუ უცხოეთიდან მოხიბლულა იქ ქეიფით.

მერე ყურადღება აღარავინ მიაქცია ტივი წყალს გაატანეს.

ერთ ძალიან დიდ კაცს უთქვამს, ქართული სუფრა დიდი სათათბირო შეკრებულობაო.

ქართული სუფრა თვალისჩინია, ხელოვნების, ლიტერატურის, პოეზიის , სიმღერისა და ცეკვების გონებამახვილობის, იუმორის, სიყვარულის ურთიერთ პატივისცემის სინთეზი.

არაერთ ნიჭიერ სპექტაკლის დონემდე აყვანილი ქეიფი მახსოვს. არაერთი ცნობილი სუფრის თავი - თამადა. შალვა დადიანი, პეტრე ბოკერია, კაკო ძიძიგური, ირაკლი აბაშიძე, პეტრე სოხაძე, დავით ნიორაძე, სიმონ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხირტლაძე, ვანიჩკა კახიძე, ჭუტა ავალიშვილი, დოდო აბაშიძე, ჩვენი ქარხნის ტექნოლოგი ზურიკო მეტრეველი.

ქეიფის ყველა კომპონენტის სრულყოფილ ნიმუშად მახსოვს ქეიფი დილომში მსოფლიო მეღვინეობის კონგრესის შესახვედრად აშენებულ მარანში. მასპინძელია პეტრე სოხაძე. ტარდება შეჯიბრი ქეიფში ძველი თაობის წარმომადგენელთა და ახალგაზრდებს შორის.

ძველი თაობის გუნდში არიან: სერგო ბაქრაძე, ვანიჩკა ბაქრაძე, ვანიჩკა კახიძე, სერგო დაღივაძე, ილუშა ნასიძე, კუსა ვაშაძე,

ახალგაზრდობის გუნდი: აგული სოხაძე, გოგი გუგუშვილი, თენგიზ კახიძე, გურამ ბაქრაძე, ჯონდო მიქელაიშვილი.

შეჯიბრების დებულება ასეთია:

ერთი მხარე წარმოთქვამს სადღეგრძელოს, იტყვის ერთ ოხუნჯობას, იმღერებს ერთ სიმღერას.

იგივეს იმეორებს მეორე.

ასე გრძელდება. მოწვეულნი არიან რესტორან "ნატახტარის" დამკვრელები. ყოველი ეტაპის შემდეგ მსაჯი პეტრე სოხაძე აჯამებს ეტაპს 10 ბალიანი სისტემით.

თავიდან ძველი თაობის წარმომადგენლები მაგრად არიან, მაგრამ თანდათან დაღლილობა მოეკიდათ. ახალგაზრდობას კი პირიქით.

სუფრის მსაჯს ისეთნაირად მიჰყავს საქმე, რომ შეხვედრა საბოლოოდ ფრედ მთავრდება.

მთავრდება უდიდესი ქეიფი.

ეს ერთი პიროვნების კი არა მთელი ჯგუფის შემოქმედებითი საღამოა.

პეტრე სოხაძე დიღმის საცდელი მეურნეობის დირექტორია. მეურნეობა მის ხელში წალკოტსა ჰგავს. თუ ვინმე საპატივცემულო სტუმარი ეწვია თბილისს იქ აუცილებლად მოჰყავთ.

ერთხელ სტუმრად არიან ფიდელ კასტრო, ნიკიტა ხრუშჩოვი და რა თქმა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. თამადად პეტრეს ირჩევენ. ჩავარდა პეტრე ბიძია საგონებელში, რა ქნას ვისი სადღეგრძელო შესვას პირველი, კასტროს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ხრუშჩოვისა. შეატყო ნიკიტამ რა დღეშია პეტრე. სიტყვა წაართვა.

- პირველი სადღეგრძელო ჩვენი სტუმრისა იყოს - თან ყურში წასჩურჩულა;

ხომ გამოგიყვანეთ მდგომარეობიდან ბატონო პეტრე.

პეტრემ ამოისუნთქა განაგრძო ქეიფი. იმ საღამოს ქეიფში "ზებრიზის" ბრიგადა მონაწილეობდა. ახალგაზრდები არ მიგვეკარეს.

ბეთანია - მეარღნე ვარდოს სახლის ეზო. ირაკლი აბაშიძე, ბესარიონ ჟღენტი, იოსებ ნონეშვილი, საშა ქუთათელი, დავით ჩხიკვიშვილი, რევაზ ლალიძე, ტუპია იაშვილი და ჩვენი ბრიგადა, აგული სოხაძე, გურამ ბაქრაძე, გოგი ბაქრაძე, გოგი გუგუშვილი, თენგიზ კორინთელი, შოთა ირემაშვილი, ჯიმალ სუხიშვილი.

არღანს ვარდო მეარღნე ატრიალებს - ვარდო შორს წადი, იქიდან დაიწყე, მერე მოგვიახლოვდი მერე ისევ უკან დაიხიე.

- დამკვრელები - მიშას დასტა.

სუფრის ავტორი ცნობილი მეზურნე სურიკა-არა ნაკლებად ცნობილი მედუქნის იონას სიძე.

თამადად აგული სოხაძეს ვირჩევთ;

რამდენი სადღეგრძელო არ შესვა ალავერდს ბატონ ბესარიონთან გადადის. ბიჭო აგული, შენ არ გეწყინოს ეუბნება ბატონი ბესარიონი და ერთ ამბავს მოგიყვები:

ერთ ოჯახში ვარ, ბევრი ხალხი ესწრება ვახშამს. თამადობაზე უარი ვთქვი. აირჩიეს კაცი, რომელსაც საერთოდ არ შეუძლია ხმის ამოღება. რამდენი სადღეგრძელო შესვა იმდენი ჩემთან გადმოვიდა ალავერდი. მე უთქარი, მე ღვინის სმა არ მინდოდა, იმიტომ ვთქვი თამადობაზე უარი, თორემ შენ მაჯობებდი მეთქი.

ბატონო ბესარიონ, ვეუბნები, თქვენ ალბათ ისიც გახსოვთ მწერალთა კავშირის პლენუმზე სიმონ ჩიქოვანის მისამართით თქმული სიტყვა. სიმონ ჩიქოვანი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა. ბატონი ბესარიონი ტრიბუნაზეა, აქებს სიმონს, ხოტბას ასხამს. ამ დროს ზარათს უგზავნიან:

-ბესარიონ, მგონია ხსნიან სიმონს.

ბესარიონი "შემოტრიალდა", გაჩნდა სიტყვა "ვაგრამ" და გადავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკაზე. ამ დროს მეორე ბარათი მოსდის - ბესარიონ, მგონია გადაიფიქრეს და ტოვებენ ისევ სიმონს.

კვლავ "შემოტრიალდა" ბესარიონი. სიმონი ისევ ცაში აჰყავს.

დადგენილებები ლოთობის საწინააღმდეგოდ დაახლოებით 5-7 წელიწადში მეორდება. მოსულა ერთერთი ასეთი დადგენილებაც. რეკომენდაციის სახით იხილავს მწერალთა კავშირი. მომხსენებელია ირაკლი აბაშიძე. რა ქნას ირაკლიმ, ერთი ფაქტი ხომ მაინც უნდა მოიყვანოს. ჩაფიქრებული აქვს გალაქტიონისა და ვარლამ ჟურულის დატუქსვა. იწყებს გალაქტიონით. ჩვენი ბუმბერაზი ღმერთის ტოლი გალაქტიონი, ჩვენი სიამაყე, პოეტთა მეფე ...მაგრამ ... გალაქტიონმა იგრძნო რით უნდა გაეგრძელებია ირაკლის.

- მადლობა, დიდი მადლობა ჩემო ირაკლი - გავიდა, მიიხურა კარი.

ირაკლი აბაშიძეს ვეუბნებით ახალგაზრდები, ბიძია ირაკლი, ხომ მოგწონთ ჩვენი ქეიფი შეგვიტანეთ ქართულ ენციკლოპედიაში.

- კი, როგორ არა, აუცილებლად შეგიტანთ, მაგრამ შევიტან სიტყვა "ქეიფს".

- ირაკლი ბიძია, ასო "ქ" ნამეტანი შორსაა იქნება ცოტა ახლოს გადმოგვიწიო.

- ვეცდები-ელიმება ირაკლი.

ირაკლისათვის და იმ ხალხისათვის ვინც მას ახლდა ეს ქეიფი შეიძლება ეპიზოდია, რომელიც არც კი დაამახსოვრდებათ, ჩვენთვის ახალგაზრდობისათვის კი მთელი მოვლენაა, რომ ამ ერის რჩეულ ხალხთან ერთად ვართ.

რეზო ამაშუკელს ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი აქვს დაწერილი " მოვდივარ გარდაბანს უსმენ გოდრით დადგმულ ბანს". ვისაც კარგი ბანი აქვს თბილისში იჩემებს ეს ლექსი რეზომ ჩემზე დაწერაო. თვითონ რეზო განგებ არ ამჟღავნებს ვის მიუძღვნა ლექსი. ლექსი ჩემის აზრით ნამდვილად მიუძღვნა ჩვენი ბრიგადის წევრს თენგიზ კორინთელს. მას ხომ "ბრიგადის მოზვერი" ერქვა. ბრიგადაში ბულბულიც გვყავდა გოგი გუგუშვილი "

გადავწყვიტეთ საზეიმოდ გაგვეხსნა რესტორანი " მარაბდა " საკმაოდ კარგი არქიტექტურული ნაგებობა. მასპინძელია შოთა ირემაშვილი. სალამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეწყო კაფის სახით. სამწუხაროდ ჩვენ ამგვარი კაფე - სალამოების ჩატარება არ გვეხერხება. სალამო არ გამოვიდა. რა ვქნათ?

ავირჩიეთ თამადად ჯანსულ ჩარკვიანი. სუფრაზე ღვინო გაჩნდა. მაშინვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

სუფრაზე მოწვეული გვყავს ემანუილ აფხაიძე, გიორგი სალარაძე, სტეფანე ჯაფარიძე, მიხეილ ჩიხლაძე.

ახალგაზრდობა თბილისში თუ ვინმე მღერის ყველა აქაა. აგული სოხაძე, გურამ ბაქრაძე, ივიკო საყვარელიძე, ჯემალ სუხიშვილი, მერაბ მახარაძე, დემური ცქიქიშვილი, გოგი გუგუშვილი, თენგიზ კორინთელი, მანანა მარაშიძე. ემანუილ აფხაიძეს ცრემლები მოერია - ამბობს დავბერდი კაცი ასეთ ქეიფს არ მოვსწრებივარ.

ქალაქი ბრატისლავა. ჩეხოსლოვაკია - ტურისტული მოგზაურობიდან ვბრუნდებით. გამოსათხოვარი ბანკეტია. თამადა დათიკო კორკელიანი, მოადგილე გუგული მიქაშავიძე.

გვერდზე დარბაზში ჩეხების ქორწილია.

ჩვენმა სუფრამ გადაწყვიტა დაესაჩუქრებინა ახლად დაქორწინებულნი. შევაგროვეთ ვისაც რა გაგვაჩნდა ერთ დიდ ბლუდზე დავაწყეთ, მივართვით.

მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ბოლოს მოხდა ის რაც ქართველების ბუნებაში პირდაპირაა ჩაბეჭდილი. ორი სუფრა გაერთიანდა. ჩეხებმა ჩვენს სუფრასთან გადმოინაცვლეს. ბოლოს ქორწილი მიატოვეს და ნეფე - დედოფლიანად სადგურამდე გამოგვაცილეს.

გუგული მიქაშავიძემ იხუმრა - ბიჭო მოგვყვებიან თანო.

რესტორანი "მტკვრისპირეთი" - ლადო წერეთლის ლუქსად წოდებული. ქეიფი ძალაშია. შემოდის სახელოვანი მსახიობები მიშა ბეჟუაშვილი და მიშა კვალიაშვილი. შემოაქვთ გალია. გალიაში ჩიტია "იადონი".

- ოფიციანტ, მობრძანდით აქეთ.

- რა იყო ბატონო!

- შეიძლება ჩიტი ვამღეროთ?

ისევ ბეთანია. მე პატარა ვარ 10 წლისა. სუფრას უსხედან ალექსანდრე ეაშაძე, მიშა ნიორაძე, ამბრეკი ურუშაძე, გრიშა არუთინოვი, გერმოგენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრეგვაძე და ერთი ძალიან დიდი თანამდებობის კაცი, რომლის გვარს ეხლა ალარ ახსენებენ.

თამადა ამბრეკი ურუშაძე.

კარგად არიან შეზარხოშებული. ალექსანდრემ გერმოგენს თავზე ღვინის ჭიქა დაადგა, ოცდახუთი ნაბიჯის დაშორებიდან ესროლა "პარაბელუმი." ჭიქის ნამსხვრევები ჩამოცვივდა. ღვინო საბა სულხანისა არ იყოს თავისას აკეთებს. ახლა გერმოგენმა მოინდომა იგივე ილეთი. ალექსანდრე, ახლა შენ დეიდგი თავზე ჭიქა მე უნდა გესროლოვო.

- გერმოგენ, მოდი ჯერ კვახზე ვსინჯოთ.

გამოატანიეს ოფიციანტს კვახი, დაადგა გერმოგენმა ჭიქა, ესროლა და კვახი გააპო.

- რას მერჩოდი ბიჭო, რაზე მკლავდიო-მიუგო ღიმილით ალექსანდრემ.

კახეთში ვართ მივლინებაში ალიოშა ცარციძე, ვიქტორ ლაბარტყავა, დილიკო ბაქრაძე. ოთხნი ვართ ვსადილობთ. გვერდითი სუფრის ხალხს რაღაც არ მოვეწონეთ, გადაკრული საუბარი ჩამოვარდა ჩვენი მისამართით. ადგა დილიკო, წელში გაიმართა, ჩაავლო ოთხკაციან გაშლილ სუფრას კბილები, ასწია და ცეკვა დაიწყო. უნდა გენახათ რა დაემართათ იქ მყოფ საზოგადოებას. სახტად დარჩნენ. მათ გაოცებას საზღვარი არა აქვს. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ კაცს შეეძლოს პირში გაშლილი სუფრაეჭიროს.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ნამდვილად ასე იყო.

რესტორან "მარაბდაში" ვართ. სტუმრად გვყავს ჩილის მწერალთა ასოციაციის პრეზიდენტი ედმუნდო. მასთან ერთად გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, გიორგი ალაგიძე, ვილი ალავიძე, სერგო კვინიკაძე, ავთანდილ გოგიტიძე. მეჯიბრება ედმუნდო ღვინის სმაში. იოსები აფრთხილებს დაანებეთ თავი, ამათთან შეჯიბრი არ გამოგივათ, მაინც არ მეშვება. დამკვრელებიც გვყავს და მეარღნე გიორგი ნიკალაევიჩი. გაოცებულია ედმუნდო ამბობს გაიხარონს უთქვამს: დაითვერით პოეზიით, სათნოებით, სიყვარულით, ღვინით ოღონდ იყავით მთვრალნი. ამდენი კომპონენტი არ ყოფილა საჭირო. მარტო სიყვარული, ქართული სიყვარული კმარა. გიორგი ნიკოლაევიჩმა მეარღნის სამკერდე, ხელსახოცი და კერამიკული დოქი აჩუქა. მე ამას ყველაფერს ავღწერ ამბობს ედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონდო. მართლაც აღწერა ჟურნალ "Иностранная литература"-ში გამოქვეყნდა.

- მედუდუკეთა ანსამბლ " სოინარის " საიუბილეო საღამო, მერე კი საიუბილეო ვახშამი. თამადა იოსებ ნონეშვილი. რა სიმღერა არ ითქვა, რა ჰანგი არ აჟღერდა. გლახუაც აქ არი, ოთხმოც წელს მიტანებული, მაგრამ მაინც კარგ " ფორმაში " მყოფი გლახუა.

- კოწია ქავთარაძე აურჩევიათ ბორჯომში ქელეხის თამადად. ბატონი კოწია ოხუნჯი კაცია. ხუმრობს ყველგან ოჯახში, ქუჩაში, სამსახურში, სუფრასთან. თამადობაზე უარი განუცხადებია, მაგრამ არ მოეშვნენ. კოწიას სუფრა ჩვეულებრივად წაუყვანია ოხუნჯობით.

ჭირისუფლები განრისხებულან.

ბატონებო, უთქვამს კოწიას, გემი "ჩელუსკინელები" ყინულებმა რომ გასჭყლიტა გადარჩენილი ხალხი პაპანინის მეთაურობით მოსკოვში ჩამოიყვანეს, ხალხმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო წითელ მოედანზე. ანრი ბარბიუსმა თქვა ამ შემთხვევაზე-რა ხალხი ხართ ეს ბოლშევიკები უბედურების ზეიმად ქცევა შეგიძლიათო. ასეა ჩემო ძმაო, აგრძელებს კოწია, ცხოვრება გრძელდება, ერთი წავიდა ამ ქვეყნად და ახლა დანარჩენები თან ხომ არ წავყვებით.

სერგო ზაქრაძის იუბილე. მასთან სახლში ქეიფია.

თამადა ჭუტა ავალიშვილი.

ესწრებიან ვანიჩკა კახიძე, ჟორჟიკა ყიფიანი, კოწია ლორდქიფანიძე, დათიკო ჯანელიძე, ტუპია იაშვილი, ხუტა ნადარაძე და სხვები.

თამადა ამბობს: კარგად იყავი ჩემო სერგო, იმდენ ხანს იცოცხლე სანამ კილოიანი ოქრო არ გრეკო თავში.

დათიკო ჯანელიძის სადღეგრძელოა. დათიკო ბატონო ძლივს გადავარჩინე მოსკოვში წაყვანას. საკავშირო გზათა მინისტრს ბეშევს დათიკოა გაზეთ "[illegible] "გუდოკის" რედაქტორად გადაჰყავდა. შევიდა ბეშევთან ჩვენი გზის უფროსი გრიგოლ ქადაგიძე და დუდვა მაგიდაზე მარჯვენა ხელი, ან ეს მომჭერი და ან დათიკოს ნუ წამართმევო. (ამ დროს დათიკომ ერთი ლექსი რუსული არ იცის) დაგვპატიჟა ერთხელ დათიკომ მატარებლის ვაგონში ცხოვრობდა მაშინ. მივედით სად არის დათიკოს ვაგონი, ჩოუბიან პარავოზი და საშვრილიაში წაუყვანიათ. გამოვბრუნდით უკან. იმ საღამოს ას ერთი სიმღერა შესრულდა, სი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღერის გამეორების გარეშე. სიმღერის გამეორებაზე ჯარიმა იყო დაწესებული.

კიროვის რაიონში რუსთავის გზატკეცილზე გამწვანების ტერიტორიაა, საკმარისად ლამაზი ბუნებით. იქ აშენდა იმერული ქოხი კრამიტით დახურული, ბუხრით. საპატივცემულო სტუმარი მოწვეულა იქ არა ერთი. ერთხელ, მაშინდელი საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რევაზ ფრუიძე მიბარებს. საჩივარია შენზე შემოსული ამბობენ თქვენ რომ უწოდებთ "ბრიგადას" არლანი აქვს ავტომანქანის საბარგულში, დადიხართ და ქეიფობთ. მითხარი მართალია ეს?

– არა ბატონო რეზო, მოვსინჯეთ და არლანი არ ჩაეტია საბარგულში, გიტარით შევცვალეთ.

– მოსკოვში ციგნების ანსამბლის თანხლებით ექეიფობთ ვალიკო ბილანიშვილი, დევი შამათავა, ოთარ ქვილითაია, გივი ბარძიმაშვილი, ავთანდილ გურაბანიძე, ზაქრო გულისაშვილი. ვახერხებთ ციგნებთან ერთად სიმღერასაც. Ручнок, невечерная, за здравие. საღამოს თერთმეტი საათი სრულდება. რესტორანი იკეტება. ვთხოვეთ ციგნებს დარჩენილიყვნენ. პერსონალსაც. უცნობი კაცი მოდის ერთი – ქართველების ქეიფზე ბევრი რამ მსმენია, რაც აქ ვნახე ნაამბობს გადააჭარბა, გთხოვთ მეც თქვენთან ერთად დავრჩებიო.

– ეს კაცი ერთი წამყვანი დარგის გენერალური კონსტრუქტორი, სოციალისტური შრომის ორგზის გმირის ნიკოლოზ პილიუგინი გამოდგა. უბრალო, დიდი ბუნების პიროვნება. ნაშუაღამევს გამოვედით გვხვდება ავტომანქანა "ჩაიკა".

ჩვენ ვიცით რომ ასეთი მანქანა უბრალო კაცს არ დაელოდება.

– ვეკითხებით, ძია კოლია, ძალიან დიდი კაცი ხართ?

– ისე, არა მიშავს.

– შემდგომში ძია კოლიასთან სამსახურებრივი საქმიანობა მაკავშირებდა. არაერთხელ სუფრასთანაც შევხვედრივართ ერთმანეთს სადგურ "ტარასოვკაში" ქართველების დუქანში. მებუფეტე დათიკოსთან ყველაფერი ქართულთან ერთად გარეული ღორის ბეჭსაც რომ მოიტანს სუფრაზე.

ლონდონი – მივლინებული ვარ საბჭოთა კავშირის სამრეწველო გამოფენაზე სადაც ბელორუსიისა და საქართველოს პავილიონებიცაა. გამოფენა მოთავსებული დარბაზში, რომელიც იმ ზომისაა დინამოს სტადიონი რომ წარმოიდგინო გადა –

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხურული.

საგამოფენო დარბაზი ეკუთვნის კერძო პირს. მას სხვა ბევრი რამეც ეკუთვნის, მილიონერია. მოდის ეს კაცი ყოველდღე ჩვენთან, მოირთმევს კონიაკსა და ქართულ სამარკო ღვინოებს და აზრადაც არ მოსდის რომ სამაგიეროდ, როგორც მასპინძელმა ჩვენც მიგვიპატიჟოს. ვეუბნები – იქნები მილიონერი ფულს თუ არ დახარჯავ.

მერე იკადრა ჩვენი დაპატიჟება, მაგრამ რა თქმა უნდა უარი ვუთხარით.

რა ხალხია ეს ინგლისელები, შაბათ კვირას სტუმრობა მიუღებელია. არიგებ საჩუქრებს და ისე ღებულობენ თითქოს ვალს ისტუმრებდე. ნახევარი საჩუქრები უკან მომაქვს მოსკოვში. შერემეტიევოს აეროპორტში კონტროლიორი გოგონა მეკითხება, კარგი სუვენირები შეგიძენიათ ინგლისში.

–არა უკან მომაქვს. რატომ? იცინის – აბა რა, საქართველოში ხომ არ გეგონათ თავი, ის ხომ ალბიონია , ჰოდა ისევ ლონდონი. ვერა ვარ ხასიათზე. თითქოს ორი კვირა არაფერია. შეიძლება გაძლება, მაგრამ მაინც ძნელია. გამოფენა სასტუმროსთან ახლოსაა, ფეხით მარტო მივდივარ. შევხედე აზრაა. კედელზე სომხური წარწერით. ავიხედე, ეკლესიაა იმ სიმაღლე რომ ახედავ ქუდი გადაგივარდება. სომხური ეკლესია, გულბენკიანის ფულით აშენებული. შევედი ამ დროს მრევლი არავინაა. სამი მღვდელი შემოსხდომია კათედრას ანაფორებში მეოთხე ჩვეულებრივადაა ჩაცმული.

უცებ ჩემი სახელი მესმის. დავიბენი ხომ არ მეჩვენება მეთქი. არ მომეჩვენა. გამომეცხადა ვლადიკა. ვლადიკა ერთ დროს თბილისის საპნის ქარხანაში მუშაობდა სამეურნეო ნაწილის გამგედ. სოლოლაკში ჩვენს გვერდზე კოჯრის ქუჩაზე ცხოვრობდა. მერე საიდანღაც ეჩმიაძინში ამოჰყო თავი, სრულიად სომხეთის კათოლიკოს ვაზგენის რეზიდენციაში.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ვიყავით სასომხეთში. დელეგაციას მიშა გოგიჩაიშვილი ხელმძღვანელობდა. სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად ვაზგენთანაც მიგვიყვანეს. მაშინ შევხვდი ვლადიკას. გამომიხმო გვერდზე მითხრა – თუ ძმა ხარ არ წამოგცდეს საპნის ქარხანაში, რომ ვმუშაობდი. არა ვლადიკ რატომ უნდა წამომცდეს. ასე შევხვდი ვლადიკას ლონდონში. ვაზგენს მიკლინებაში გაუგზავნია. გავარდა ვლადიკა უცებ თურქულ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დუქანში. მოიტანა ქაბაბი, მწვადი, ფლავში, ფრანგული ღვინო და მამაპაპური ქეიფი გაჩაღდა.

მიმიყვანეს მანქანით გამოფენაზე. გამოფენის დირექტორი მეუბნება: ფული რომ არ გაქვს ვიცი, ლონდონში მეგობრები, რომ არ გყავს ისიც ვიცი ვინ დაგალევინა.

ლონდონშიც გამომიჩნდა მეგობარი.

– წულუკიძის რაიკომის მდივანი ვალიკო ობოლაძე, დევის აღნაგობის კაცი, ცნობილი თამადა, ერთ ჩაფ ღვინოს სვამს. შეატყო ერთხელ სამსახურში კ ლმეურნეობის თავმჯდომარე ტანმორჩილი კაცი ნასვამია.

– შალიკო, ხომ გითხარი ზომაზე მეტს ნუ დალევ – დალიე ექვსი ბოთლი და გაჩერდი. ვალიკო თავისი არშინით ზომავს. ამ დროს შალიკოს ერთი ბოთლიც არ იქნება მიღებული და მზადაა.

აზერბაიჯანი – ბაქო – თბილისის დელეგაცია უნდა გაიგზავნოს აზერბაიჯანში თბილისის დღეებია. დელეგაციის ხელმძღვანელი გურამ ენუქიძეა. ერთი დღით ადრე მეუბნება – მე ეხ მივდივარ შენ ხომ არ წახვალ.

– რატომაც არ წავალ.

– შეარჩიე შემადგენლობა.

შევარჩიე მორის ფოცხიშვილი, ილია ბაქრაძე

ბაქო. ერთერთი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე მამედოვია, ჩვენზე მომაგრებული ქალაქის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. მე ბაქოს პარტიული კურსებიდან ახალი დაბრუნებული ვარ. ვნახე ძალიან მომეწონა ახლად გახსნილი ნოხების მუზეუმი. მინდა ვაჩვენო მორისს და ილიას. ვეუბნები მამედოვს–წავიდეთ ნოხების მუზეუმში. მამედოვმა თურმე არც კი იცის ამ მუზეუმის არსებობა. მე მივიყვანე. გვეუბნება თუ ხალხი ხართ არ გაამხილოთ ეს ამბავი, მომეჭრა თავი, საღამოს შეხვედრაზე თვალებში მოგვჩერებია არა სჯერა თუ არ გავამხელთ. წაგვიყვანეს 168 წლის მოხუცთან მაგომაევთან შესახვედრად. გამოვიანგარიშე, მაგომაევი ლერმონტოვზე 14 წლით უფროსია. რა თქმა უნდა მას ლერმონტოვის და ნიზამის შესახებ არაფერი სმენია.

- ვეკითხებით, ღვინო თუ შეგისვამს?

– როგორ არა, საბჭოთა აზერბაიჯანის 50 წლისთავზე ნახევარი ჭიქა მოვ-

მე მაშინ 300 წელი მიცხოვრია.

მოხუცები წამოწოლილი თახნიან ბახჩას. ძირითადად ბოსტნეულითა და რძის ნაწარმით იკვებებიან.

აზერბაიჯანელ დიდხანს მაცხოვრებელს რომ იღებდა კინო გადამღები ჯგუფი ერთ-ერთ მათგანს როგორც კი "პროჟექტორი" მიანათეს იქვე განუტევა სული, ეუცხოვა, ვერ შეეწყო ტექნიკას.

ჩვენი უშუალო მასპინძელია ბაქოს ქალაქკომის განყოფილების გამგე ტარიკ გაჯიევი. ტარიკი თბილისში ხშირადაა ნამყოფი, მეუღლე ქართველი ჰყავს პარტიულ კურსებზეც ერთად ვიყავით.

ერთ საღამოს გვპატიჟებს თავისი სიმამრის აგარაკზე. აგარაკი კასპიის ზღვის პირას მდებარეობს. ეზოში დიდი თუთის ხე დგას, იქვე ვენახი "შანი" სილაზე დაწოლილი. აღმოსავლური პეიზაჟი. მასპინძელი ბაქოს მთავარი კული-ნარია. წარმოიდგინეთ რა კერძებია სუფრაზე: ფირმული "ტოლმა", ყარსის მწვა-დი. მოწვეულია სხვებთან ერთად დიდი მიშა აზიზბეკოვის შვილიშვილი ჟენია აზიზბეკოვა. ულამაზესი ქალი, აკადემიკოსი, აზერბაიჯანის ხელოვნების ისტორიის მუზეუმის დირექტორი. ჟენია ჯერ კიდევ თბილისში გავიცანი. რა თქმა უნდა ალტაცებულია თბილისში შეხვედრებით. შემარქვა "ჩემი ძმა თბილისიდან".

მორის ფოცხიშვილი ექსპრომტს უძღვნის ჟენიას. ილია ბაქრაძე ამბობს ასეთი ქალის მნახველი არა ვარ. მოწვეულნი არიან დამკვრელები აზერბაიჯა-ნის სახალხო არტისტის ბაირამ იბრაგიმოვის ხელმძღვანელობით. პოეტმა ნარი-მან - გასან ზადემ ლექსიც კი მოგვიძღვნა. შემდგომში მისი ლექსი გამოქ-ვეყნდა. ისმის აზერბაიჯანული ბაიათი.

დასამახსოვრებელი საღამოა.

მოსკოვი. რუსთაველის ძეგლის გახსნა. ძეგლს ლეონიდ ბრეჟნევი ხსნის. საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მღერის მრავალჟამიერს. ლე-ონიდ ბრეჟნევი სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელს გურამ ბაქრაძეს ხელს ართმევს.

შენ ალბათ რამდენიმე დღე არ დაიბან ხელს- ვეხუმრები გურამის. ვცხოვრობთ სასტუმრო მინსკში. ლიფტში ვართ. გურამმა სიმღერა წამოიწყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოძრაობს ლიფტი სართულებს შუა. არ გამოვდივართ. რეზონანსი საუკეთესო ჰქონია ლიფტის შახტას. ხალხი გველოდება. როგორც იქნა გამოვედით. სასტუმრო-ში იმ დღეებში კულტურული საზოგადოებაა, თორემ სხვა დროს ალბათ ბევრს გვირ-ტყამდნენ.

ეხლა კი... იმღერეთ კიდევ ნუ გამოხვალთ, ჩვენ ლიფტს დაველოდებით.

ასე ლიფტშიაც მოხერხდა ქეიფი.

- ბიჭო ლიფტში ქეიფი არ გამიგია - გადარეული ხალხი ხართ, გვეუბნება პეტრე ამირანაშვილი.

- თბილისში შაბათობაა. თბილისის ზღვის ფერდობზე ხეებს ვრგავთ. დავ-ბრუნდით შევიარეთ რესტორანში სოფელ დიღომში.

გაიშალა სუფრა. გენო ჯანაშია, ლერი საყვარელიძე, კაკო რატიანი, ვახ-ტანგ ყავლაშვილი. შემოგვესწრნენ ილიკო სუხიშვილი ავსტრიელ იმპრესარიოსთან ერთად. რა თქმა უნდა მაშინვე შევთავაზე ილიკოს სუფრების გაერთიანება.

ლერი საყვარელიძეს სიგარეტი მოუნდა. გადაჰყო ხელი ავტომანქანაში. ორი აბსოლუტურად ერთი ფერის მანქანა დგას ილიკოსი და გენო ჯანაშიასი. ილიკოს მძღოლი ეუბნება: რა გინდა, მოეშვი მაგ მანქანას. ცოტა ხნის შემდეგ ლერის დასჭირდა რაღაც. ისევ ილიკოს მანქანაში ეძებს.

კვლავ ეუბნება მძღოლი რა გინდა მაგ მანქანასთან.

- არ მიშვებ ჩემს მანქანაში, კარგი, ფეშქეშ ეს მანქანა შენი იყოს. ავსტრიელმა სთხოვა თარჯიმან გოგონას გადმოთარგმნე რა ხდებაო. გოგონა პასუხობს - ამ კაცმა იმ კაცს ეხლა მანქანა აჩუქა. წამოხტა ავსტრალიელი, წამოწითლდა, სთხოვს თარჯიმანს ჩქარა გადათარგმნოს.

- იცით რა მეგობრებო ყველაზე უფრო იმას ვდარდობ, რომ ჩავალ ავსტრა-ლიაში არაფრით არ დამიჯერებენ რომ ასეთი ხალხი არსებობს ქვეყანაზე და მე ეს ხალხი ვნახე.

- ამინ - გაუმარჯოს დაუჯერებელ საქართველოს.

რესტორან "გოლუბოიში" სამი მეარღნე ქეიფობს, სამი უკანასკნელი მო-ჰიკანი. ძია გიორგი, ძია გრიშა, ძია ოქროპეტა.

ეზოში დაბალ სუფრას შემოსხდომიან. ვინ იცის რას არ იგონებენ. ოქ -

ეროვნული ბიბლიოთეკა

როპეტას ახსოვს ავლაბარში ლასურაშვილის თევზეულობის დუქანი. ხიზილალა კასრებით იდგა, თევზი როგორიც გინდა; ზურგიელი, ზუთხი, ცოცხალი, კეფალი ტარანი. ეგეთი რამე აღარ არი, გიორგა ამბობს ავლაბარში სულ ერთი კაცი შემორჩა ლევანა, რომელსაც არღანზე ახალი "პესნის" დარტყმა შეუძლია და საერთოდ არღნის შეკეთება. წავა ამ ქვეყნიდან ლევანა და ეგ ხელობაც მოკვდება, ალბათ არღანიც დადუმდება. ( ~~არღანი~~

რიგრიგობით მოდიან მეარღნეები ჩვენს სუფრასთან, ატრიალებენ არღანს, გიორგა – "გრიდიაგას" მღერის, მოსკოვში სამინისტროში რომ ჩავალ ჩემს ამბავს არავინ კითხულობს. პირველი შეკითხვაა – როგორ არის მეარღნე გიორგი ნიკოლაევიჩი.

• მე წარმოებისაკენ მიმიწევდა ყოველთვის გული.

ჯერ კიდევ 60-იან წლებში (ეხლა უკვე ასე ითქმის) სხვებთან ერთიანად ერთი საფეიქრო საწარმოს მშენებლობა და ექსპლოატაციაში მეც დამევალა. პირველები სულ რამდენიმე ვიყავით ტატიანა ალექსიშვილი –დირექტორი, ნოდარ ჩადუნელი, კუკური ჩოჩოა.

ამოცანა იყო შეგვექმნა თანამედროვე ტექნიკით გამართული ესთეტიკური საწარმო. ასეთი საწარმო შეიქმნა. იმ ხნად ჯას თბილისში ბადალი არა ჰყავდა: წარმოება გერმანული დანადგარებითაა დაკომპლექტებული. მაშინ სრულიად ახალი ტიპის ავტომატური მანქანებით. შემმონტაჟორად წარმოებაში შვიდი გერმანელი სპეციალისტია მოვლენილი, რომლებმაც თბილისში ორ წელზე მეტი დაჰყვეს. შეფ მონტიორების ხელმძღვანელი ვალტერი. გერმანელები ნელ-ნელა ისე შეეჩვიენ ჩვენს ადათსა და წესებს, რომ ხშირად საპასუხო ვახშამსაც გვიმართავენ, რაც გერმანელებისაგან უჩვეულო ითვლება. ყოველ მეორე შეხვედრისას ფულის გადახდას ვერ მოასწრებ რესტორანში.

გვესტუმრა ფირმის პრეზიდენტი კარლ-მარქს-შტატიდან ერიხ შვიპერი. ათ დღეზე მეტი დაჰყო თბილისში. რა თქმა უნდა აღფრთოვანებულია ყველაფრით რაც ნახა და შეიგრძნო საქართველოში.

მცხეთაში ნოდარ ჩადუნელი მეგობრობის სადღეგრძელოს შესვამს. ერიხ შვიპერი პასუხობს: მე ძთელი ჩემი არსებით ვარ და ვიქნები საბჭოთა ხალხის

მეგობარი. ეს ლიტონი სიტყვები არაა. მე ჩემს შვილებს, შვილიშვილებს ჩავუნერგავ თქვენდამი სიყვარულს. რა ცუდია რომ ორ დღეში უნდა წავიდე. ძალიან დამაკლდება თქვენთან არყოფნა.

გერმანელების გამგზავრების დღე რომ დადგა რაღაც გლოვის დღე გეგონებოდათ ისე განიცდიდნენ საქართველოსთან განშორებას. ცხარე ცრემლებს ღვრიდნენ.

საჭირო შეიქმნა საკმარისად დიდი ტერიტორიის გამწვანება. მე ამ საქმის არაფერი მესმოდა. მივემაგრე შეგირდად ბია მიხო მამულაშვილს. მან იმდენი რამ მასწავლა, რომ შემდგომში ყვავილების დღესასწაულშიც ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა და ჯილდოებიც საკმაოდ მაქვს მიღებული.

ბია მიხო საკავშირო ყვავილების დღესასწაულზე წავიყვანეთ, მან ორი კალათა გამოფინა "მწუხარება" და "სიხარული". ორივე ხელოვნების ქმნილებათა რიცხვს შეიძლება მიაკუთვნოს კაცმა. დახურულ კონკურსში ბია მიხომ დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა.

ჩემი საქმე რომ ყოფილიყო ბია მიხოს ბეგარას კი არ შევაწერდი, როგორც ამას უკეთებდნენ, მივცემდი ასპარეზს თბილისის პარკებს, ბაღებსა და სკვერებს, ქალაქის მთავარ დეკორატორად დავნიშნავდი. ასე გაჩნდებოდა თბილისში ბია მიხოს მცხეთის ოაზისისთანა ქმნილებები,და მაინც ბია მიხოს გავლენა იგრძნობოდა და დღესაც იგრძნობა. ჩვენი ქვეყნის 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად მოსკოვში, სახალხო მეურნეობის გამოფენის ტერიტორიაზე, საკონკურსო სკვერები უნდა მოეწყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკას. საქართველოდან იმ ჯგუფში რომელსაც ეს საქმე დაევალა მეც შევდიოდი. დეკორატორები გოგი მანაგაძე, ნელი ხომასურიძე, კუკური წერეთელი, ხელოსნები ვირტუოზები ხისა - ალბერტ ზაიდაკი, ქვისა-აბონ მელაძე. სკვერი გაკეთდა სვანური კოშკით, ჩანჩქერით, ბოგირით, ქანდაკებებით, კერამიკით პარტერით.

ჩვენს სკვერს 25 კაცისაგან შემდგარმა ჟიურიმ პირველი ადგილი და დიდი ოქროს მედალი მიაკუთვნა.

ეს სკვერი მოსკოვში დღესაც ფუნქციონირებს.

შემდეგ საკავშირო ელექტრონული მრეწველობის სამინისტროში შემავალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაერთიანების ხელმძღვანელობა დამეკისრა თბილისის ერთერთი საწარმოსი.

ჩანაფიქრი ჩემი ასეთი იყო: შემექმნა ტექნიკურად მძლავრად შეიარაღებული ხვალინდელი დღის საწარმო, სადაც ყველაფერი თავის ადგილზე უნდა ყოფილიყო. საამქროებიც, ლაბორატორიებიც, ადმინისტრაციული ოთახებიც, სასადილო, სააქტო დარბაზი, დისკოტეკა, თავდაცვის ნაგებობანი, ეზო, ფაცხა ბუხრით. ის ყველაფერი გაკეთდა. ალბათ ყველაზე უფრო დიდი შეფასებაა საპატიო სტუმრების წიგნში ჩაწერილი შთაბეჭდილებანი აღფრთოვანებული მნახველებისა. საკავშირო ელექტრონული მრეწველობის მინისტრის ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ალექსანდრე შოკინის სიტყვები: А это, завод красавец - ქარხანა ისეთი უნდა იყოს, რომ მნახველსა და მასპინძელს შუქი უნდა მოჰფინოს, როგორც ემანუილ აფხაიძე იტყოდა ნაოჭი არ უნდა გაუჩინოს შუბლზე. მიმდინარეობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე ატარებს. ერთერთ საკითხად დღის წესრიგში ჩვენი ქარხნის დამხმარე სოფლის მეურნეობისათვის ამბროლაურის რაიონში 750 ჰექტარი მიწის გამოყოფა.

მოახსენეს პრეზიდიუმს.

დგება ხეტყის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე: ამხანაგ ნიორაძეს აქ წარმოდგენილი აქვს გეგმა რა უნდა აწარმოოს ამ მიწის ნაკვეთზე, სხვა ღონისძიებასთან ერთად დაგეგმილი აქვს თხების მოშენება. ჩვენ წინააღმდეგი ვართ, თხები ტყეს გაანადგურებენ.—თქვენ რას იტყვით მეკითხება პატარიძე.

– ბატონო ზურაბ ჯერ ერთი ტყე საქართველოში თხამ კი არა ხალხმა გაანადგურა და მერე მე ერთერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ ამერიკაში თხებს განაპირა კბილებს აძრობენ და ტყის ვერაფერს დააკლებს. ქარხანაში ახალგაზრდა გოგონა გვყავს კბილის ექიმი. ჯერჯერობით კბილის დაძრობის მეტი არაფერი იცის, წავიყვან რაჭაში და დავაძრობ თხებს კბილებს.

– ატყდა სიცილი. ზურაბ პატარიძეც იცინის.

— თამაზი მართალს ამბობს, მეც წავიკითხე ეგ – კვერს მიკრავს რაფიელ ელიგულაშვილი.

მიწის ნაკვეთი დაგვიკანონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გამოვედით კაბინეტიდან მინისტრის მოადგილე მეუბნება, რა ქენი კაცო რატომ შემარცხვინე?

რა ვქნა ბატონო გაჩუმებულიყავი და მეც არ ვიტყოდი არაფერს. თბილისში მუშა ხელის უკმარისობა რესპუბლიკის რაიონებში მუშა ხელის დამაგრებისა და მიგრაციის შეწყვეტასთან იყო დაკავშირებული ჩვენი საწარმოს ფილიალების შექმნა. პირველი ასეთი ფილიალი ხარაგაულში შეიქმნა.

ხარაგაულელებს თავი მოაქვთ, რომ მათი რაიონი საქართველოში ტერიტორიით მეორეა რესპუბლიკაში, რომ ხარაგაულის წყალი წიფის გვირაბიდან მოყოლებული ყველაზე გემრიელია, რომ ხარაგაულში მოდის შამპანური ღვინისათვის ყველაზე მაღალხარისხოვანი ყურძენი ციცქა, პინო და სხვა რომ ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე ხარაგაულის ფუტკარმა პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

მოვდივართ მატარებლით ხარაგაულში გათენიის ხანია მესმის

– გათენდა ყორყიკა ვოტკის ფრად მერე მე მომიბრუნდა ხარაგაულელი კაცი.

– თქვენ საით მიბრძანდებით ბატონო?

– ხარაგაულში

– საქმე გაქვთ რამე?

– ქარხანა უნდა ავაშენო – მოვუყევი რა სახის ქარხანა იგება

– მადლობა ღმერთს ბოვშვებს საქმე გოუჩნდებათ. ეს სერგო ორჯონიკიძის სამშობლოში, სერგო ქვეყნის მრეწველობას ხელმძღვანელობდა იმ სახალხო კომისარიატში ის რომ უდგა სათავეში დღეს 30 სამინისტრო და კომიტეტი შედის.

ჩხერიმელა პატარა, მაგრამ ავი მდინარეა. რომ მოდიდდება ქვეყანას წალეკავს. ერთხელ რკინიგზის ხაზი წალეკა. მოახსენეს თურმე გზათა მინისტრს ბეშევს. მოძრაობა გაჩერებულიო. გაუკვირდა ვოლგა, ენისეი, დნეპრი ჰკვიანად არიან ეს რა ჩხერიმელაა რუქაზე არა სჩანსო.

შესძახა თურმე. მერე რომ გაერკვია საქმეში თავი გაუქნევია. ხარაგაულში ქარხანა ავაშენეთ. გაიწყო საბჭოთა თუ უცხოური დანადგარებით. ლენინგრადის საფრანგეთის, შვეიცარიის, უნგრეთის, გერმანიის დაზგები. დაკომპლექტდა ახალგაზრდებით. მომუშავეთა საშუალო ასაკი 22-25 წელია. ხელმძღვანელებად ადგილობრივი ხალხი დაბრუნდა ლენინგრადიდან, თბილისიდან, რუსთავიდან. წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიშვა მუშათა კლასის ახალი ტიპი,რომელიც ქარხანაშიც მუშაობს, აქვს საკარმიდამო ნაკვეთი და გაპიროვნებული აქვს კოლმეურნეობის ნაკვეთიც. ქარხნის ჯერ მთავარი ინჟინრის, ხოლო შემდგომში დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ბიჭი სოფელ ლელვანიდან სპეციალობით ელექტრონული დარგისა-თამაზ მაღრაძე.

მამამისი ანდრო ლელვანში ჭურისთავზე ქართული ელექტრონიკის დაარსების სადღეგრძელოს სვამს - შვილი დამიბრუნა სახლშიო.

ხარაგაულელების სადღეგრძელო - იცოცხლე დღეიდან 100 წელი, ძილი, წვიმიანი დღე არ ითვლება. მერე ამას კიდევ დაუმატეს - არც ღრუბლიანი და ნისლიანი დღე ითვლება ბატონო? - ნამეტანი ბევრი გამოდის.

ქარხნის ყველაზე ხანდაზმული წევრი ~~[illegible]~~ ენერგეტიკოსი პლატონ ყოვხაძე - ენციკლოპედია ოჯახების ცნობისა. ჩამოთვალა ჩემი წინაპრებიდან დაწყებული ყველა ოჯახის წევრი და არა მარტო ჩემი საკმარისია უცხო კაცი გამოჩნდეს ორი სამი შეკითხვის შემდეგ გამოეცნაურობს და ჩამოუთვალოს ახლობლები,

დირექტორის მოადგილე ზურაბ დუგლაძე - სადიპლომო ნაშრომად ქარხნის ობიექტის მშენებლობას სთვლის ხარაგაულში. ცნობილია როგორც ზურიკელა - მშენებელი.

ზურიკოს თბილისიდან ქარხნის საამქროებისათვის ვატან სურათებისა და ტრანსპარანტების კომპლექტს. ვეუბნები, ზურიკო,გაანაწილე საამქროებში ის ლოზუნგები(თანმიმდევრობა ავუწერე) რაც შეეხება სურათებს პირველ სართულზე ხელმარცხნივ ლენინის სურათი ჩამოჰკიდე მარცხნივ მარქსის. გავიდა ხანი ზურიკო ჩამოვიდა ვეკითხები როგორ მოუხდა საამქროებს რაც გაგატანე

- ძალიან მოუხდა, დახატა საამქროები, როგორც მითხარი მარცხნივ ლენინის სურათი დავკიდეთ, მარჯვნივ აკაკი წერეთლის

- ბიჭო სად იყო აკაკის სურათი რომ არ გამიტანებია?

- აბა ვინ არის ის წვერებიანი კაცი ( ზურიკოს აკაკი მარქსში აერია)

ხარაგაულში საკმარისად განათლებული ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ცოტა სხვაგვარიც გამოერევა. ამას წინათ დეპეშა მივიღე ვანიჩკა მალაკელიძისაგან: ოთხი კლასის დამთავრების აღსანიშნავ 50 წლის იუბილის ვიხდით და ჩამოდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ ცხოვრობდა ძველი ბოლშევიკი, ჩემი ნათესავი პავლე ბუხნიკაშვილი. დააპატიმრეს 1937 წელს, მეორე დღეს სატუსაღოში ალმასკომის თავმჯდომარე მოათავსეს.

ე ბიჭო, ხომ გითხარი ტერენტი შევაკეთოთ ეს ციხე მეთქი, ხომ მოგვიწია ეხლა აქ ყოფნა ორივეს.

ალმასკომის თავმჯდომარესთან ერთად მანქანით შევდივარ ხარაგაულში. მდელოზე ვილაც წამოწოლილია სძინავს.

შეხედე ახლა ამას, ნომენკლატურული მუშაკი, ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსი დამთვრალა და გარეთ სძინავს . მიუახლოვდა, გააღვიძა.

-ეგ არის საქმე, მოველაპარაკები რაიკომს ხვალვე გაგანთავისუფლებთ

- მხსნი არა? მე და ვანიჩკამ (საქსოფლტექნიკის სამმართველოს უფროსი) იქ დავლიეთ ბაზალეთის ჭურის თავზე. ვანიჩკას იქვე დაეძინა ჭურის თავზე, მე იქვსი ვერსი გამოვიარე. მე მხსნით და იმას ტოვებთ?

სანამ ქარხანა კალაპოტში ჩადგა დიდი მოთმინება იყო საჭირო. ერთხელ დამირეკეს საკვანძო დაზგაა გაჩერებული და ამის გამო ქარხანა დგას. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ სპეციალისტი. გავაგზავნე გამმართავი ვინმე სემილეტოვი, დახვედრიან ხარაგაულის სადგურში სემილეტოვს და პირდაპირ რესტორანში ამოუყვიათ თავი. ისე შეზარხოშებულან რომ სემილეტოვს ქარხანა თვალით არ უნახავს. სემილეტოვი დაუკარგავთ კიდეც., ღამის საათებში მირეკავენ სახლში, სემილეტოვი ხომ არსად არ გამოჩენილა?

ბიჭო მე თქვენ გამოგიგზავნეთ და ახლა სად ვეძებო "პერევალზე"? საყვედური რომ ვუთხარი რას გავს ეს რა საქციელია მეთქი, მიპასუხეს: "აბა მიხაილოვიჩ პატივი არ უნდა გვეცა?".

ვრეკავ ერთხელ ხარაგაულში :

-- როგორ არის საქმე?

-ძალიან კარგად ბატონო.

- კარგად რას ნიშნავს?

- კაი მაჭარი, ჭყინტი ყველი, თბილი მჭადი.

-- გეგმა?

- გეგმა ჯერჯეროპით ვერ სრულდება ბატონო.

თვის ბოლოს ცნობას გადმოსცემენ გეგმის შესრულებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაქონლო პროდუქცია - ამდენი, ნატურალური პროდუქცია - ამენი, რეალიზაცია ნოლი.

რაშია საქმე, რატომ არის რეალიზაცია ნოლი?

- ეკონომისტი ლუტუ გიბია არის შვებულებაში.

შემდეგ ქარხანა რომ დალვინდა, ჩვენი საკავშირო სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსმა ანატოლი კისილიოვმა ასე შეაფასა: " ხარაგაულის კომპლექსი თამამად შეიძლება წარდგენილ იქნეს საკავშირო სახელმწიფო პრემიაზე".

წლების მანძილზე თბილი ურთიერთობა მაკავშირებს ხარაგაულის რაიკომის მდივანთან შოთა დევდარიანთან. არაერთი ნათელი სიხარულის დღე გაგვიზიარებია.

ჩვენი ჩანაფიქრის აღსრულება გრძელდება. შედეგია ჭიათურის ფილიალი. ჭიათურა - მამაჩემი მუშაობდა აქ აღმასკომის თავმჯდომარედ. შოროპანის მაზრის საზღვრები მაშინ წიფის გვირაბიდან ქუთაისამდე გასდევდა. მეც ჭიათურაში დავიბადე. მამას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მარგანეცის ამერიკული კონცესიის პრეზიდენტთან ავრელ ჰარიმანთან. მამას ჰარიმანი რაჭაში წაუყვანია ორი კვირით. დაბრუნებულთ ამბრიკი ურუშაძე იახლა ცენტრალური კომიტეტიდან. მამას სიტყვიერი საყვედური მისცეს ჰარიმანის "ზემოთ შეუთანხმებლად" რაჭაში მიწვევისათვის. ამერიკელებს გაჰქონდათ მარგანეცი, ჭიათურაში კი მოიტანეს ნახმარი გამონაცვალი ტანისამოსი, ტანგო და ფოქსტროტი. სერგია ერისთავი მიიწვიეს თურმე კლუბში. აჩვენეს ახალი ცეკვა.

- როგორ მოგწონთ ბატონო სერგო?

- არა, ესენი თუ არ წამოწვნენ, აგრე ზეზეულად არაფერი გამოვა.

ქარხნის მშენებლობა ერთდროულად ორ ზონაში დავიწყეთ. ჭიათურის ცენტრში და სოფელ რგანში. სულ მოკლე ხანში ათვისებულ იქნა რთული ინსტრუმენტალური აღჭურვილობის, ელექტრონული სქემების, პლასტმასის დეტალების კიდობ

ჭიათურის ქარხნის დირექტორად ზურიკო ნიორაძე მუშაობს. გამოსაშვებ გამოცდებს რომ აბარებდა, სკოლაში ფიზიკის მასწავლებელს კაპანაძის ოთხიანი დაუწერია.

არ მინდა ოთხი, ხუთიანი მინდა კიდევ შემეკითხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რაღა გინდა ბიჭო ხუთიანი წინც ახლა "ბაუმანში" არ შეხვიდ[illegible]ა თურმე ზურიკომ რა არის ბაუმანი. არც აცია, არც აცხელა წავიდა მოსკოვში მისაღები გამოცდებიც ჩააბარა და დაამთავრა ბაუმანის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი.

– ბიჭო ზურიკო კაპანაძეს ბაუმანის მაგივრად ოქსფორდი რომ ეთქვა მაშინ რაღას იზამდი – ეუბნება ყორჟია ერგემლიძე.

ყორიას მეუღლე ურეკავს ტელეფონით სამსახურში. როგორღაც მიაგნო

– ყორია, დავიღუპეთ ბოვშვმა საწერი კალამი გადაყლაპა.

– არა უშავს, სანამ მე მოვალ ფანქრით წეროს და მერე ვიშოვით რაღაცას

ჭიათურაში ჩემი ახლობელი პურმარილიანი კაცი ვანიჩკა მასხარაშვილი ცხოვრობს. ჭიათურის ყველა სტუმრის მასპინძელი. ერთხელ აღმასკომს დიდი სუფრა აქვს გაშლილი, თბილისიდან სტუმრებს ელოდება. სტუმრები არ ჩანან.

– რა მეშველება ბიჭო ვანიჩკა, რომ არ ჩამოვიდნენ? ხომ გაგვიფუჭდა ამდენი პურმარილი.

– შე კაცო მაგას რავა ჯავრობ, თუ არ ჩამოვიდნენ გამოვა მაღაროდან მეორე ცვლა შამეიყვანე რამდენიმე წუთში ეითვისებენ ამ პურმარილს.

ვანიჩკა ერთ ჭიათურელ მანდილოსანს ხვდება

– თამუნია რამ გაგასუქა ასე?

– გავთხოვდი ვანიჩკა

– შე ქალო შენ გათხოვებამდისაც არ იკლებდი არაფერს და ზაქსის ქაღალდმა თუ გაგასუქა არ ვიცი.

ჭიათურაშიც საქმის სწორად და ნაყოფიერად წარმართვას განაპირობებდა პარტიის ქალაქკომის პირველი მდივანი ომარ ხოფერიას კეთილი ადამიანური დამოკიდებულება,. მეგობრობა.

წარმოების ხელმძღვანელობა პროცესია. შენი საქმის პროფესიონალი უნდა იყო. უნდა იყო გულწრფელი, უბრალო კარგი ადამიანი. თუ ეს თვისებები სისხლში არა გაქვს გამჯდარი თავიდან არ მოგდევს, გულწრფელობას თუ ითამაშებ არ გამოვა, გაგიშიფრავენ.

ერთერთი პირველი აქცია, რაც ქარხანაში მისვლისთანავე გავაკეთე [illegible] სასადილოში ე.წ. დირექტორის ოთახი. რატომ უნდა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს, რომ შენ, ხელმძღვანელს, რაღაც განსაკუთრებული კერძებით გკვებავენ.

წარმოებაში წვრილმანი არაფერია – ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და საჭიროა დიდ საწარმოო მექანიზმში.

სიახლისათვის ბრძოლა, მომუშავე პერსონალისათვის იდეალურს მიახლოვებული პირობების შექმნა, ტექნიკური ესთეტიკის საკითხები. აი რა უნდა ამოძრავებდეს წარმოების ხელმძღვანელს. როგორც იტყვიან ღარიბი კაცი ძვირფას ტანისამოსს იძენს. ასეა ქარხანაც. კედლები ცარცით კი არ უნდა შეთხიპნო, უნდა ეცადო მარმარილოში, გრანიტში, ეკლარში ჩასვა. ერთხელ გაწეული ცოტა მეტი ხარჯი მომავალში, მისი ხანგრძლივი გამძლეობით მართლდება.

მუშათა კლასთან ახლოს უნდა იყო. სპეციალურად კი არა ორგანულად, უშუალოდ, გაჭირვებაშიც, ლხინშიც.

მე არა მჯერა, რომ ხელმძღვანელმა რაიმეს გაკეთება მოინდომოს და მას წინ აღუდგეს ვინმე ან რამე. თუ წარმოება დანგრეულსა ჰგავს ეს იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი პირადულზე ფიქრობს და მას წარმოების საჭიროების ზრუნვისათვის აღარაფერი რჩება, არც დრო და არც სურვილი.

ხანდახან იტყვიან ეს ხელმძღვანელს არ ცოდნით მოსდისო. იგივე ხელმძღვანელს ნიჭიცა აქვს უნარიც, გემოვნებაც, როდესაც საქმე პირადი ბინის აგარაკის, მოწყობასა და ავეჯით გაწყობას ეხება. წარმოება კი ქალაქი მაიკოპი მეხუთედ რომ აიღეს ჩვენებმა ომის დროს, ისე დანგრეული აქვს. მარტივი ხერხებით, იაფი მასალებით შეიძლება დიდი ეფექტის მიღწევა.

მახსოვს მოსკოვში შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამო დიდ თეატრში. ჩვენმა სახელოვანმა მხატვარმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა, რეჟისორმა ბება (მიხეილ) თუმანიშვილმა სცენა ოქროსფერ და ვერცხლისფერ სალებავებში ამოვლებული დაწნილი თოკებით გააწყვეს. გეგონებოდა ოქრო ვერცხლშია ჩასმულიო.

ფილიალის მშენებლობა გაგრძელდა – აშენდა ქარხნები ტყვარჩელში, ასპინძაში, ბოგდანოვკაში. გაკეთდა პროექტები და უკვე უნდა დაგვეწყო მშენებლობა საჩხერეში (კორბოული) ამბროლაური (ნიკორწმინდა) მაგრამ – ცენტრის კომპეტენციისა არ იყოს – მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაცალის. ირაკლი აბაშიძისა არ იყოს დიდ საქმეთა კეთებას დიდი დროცა სჭირდება, მაგრამ სად არის დრო?

ერთმა მეგობარმა მითხრა, შენ როგორც ეტყობა საქართველოს მრეწველობის წარსულს არ იცნობ, იცი თუ არა, რომ ჩვენ სახელოვანი წარმოების ხელმძღვანელები დავით თოთიბაძე, ნიკო თუშიშვილი, თადეოზ გოგოლაძე, ვალოდია ხალაძე, ბაგრატ თორთლაძე და კიდევ სხვებიც თავისი ნებით არც ერთი არ გადამდგარა.

შენ არც ის იცი ალბათ რომ, ჩვენი ქვეყნის საავტომობილო გიგანტის "ზილის" დამაარსებელი დირექტორი ლიხაჩევიც გადააყენეს თავის დროზე.

– ნუგეშიც კარგია.

მეგობრობა ქართველებმა რომ იციან ისეთი უნდა, მაგრამ მეგობრისაგან გადადგომაც ბევრმა იცის.

ხანდახან ისეთ შემთხვევას წააწყდები გაგეცინება.

ერთი თანამშრომელი მუშაობდა ჩემთან. მის სიმამრს დიდის ერთა ქალიშვილი ჰყავდა და ბუნებრივია მთელი ყურადღება სიძეზე იყო გადატანილი. შეძლებულად ცხოვრობს. სიმამრი სახლში ხშირად გვპატიჟებს. ისეთ პურმარილს გვიმართავს, რომ მენიუსაც წინდაწინ გვითანხმებენ. მისი მეუღლის-ლიდას საფირმო პერაშკების ჩათვლით. მერე სხვა სამუშაოზე გადავყავართ. დაიკარგა სიმამრი. აღარც მოდის აღარც რეკავს. თურმე უბის წიგნაკში სია აქვს შეტანილი სათაურით "საჭირო ხალხი" როგორც კი საჭირო ორბიტას მოსცილდება სიიდანაც იმწუთშივე ხარ ამოშლილი. შევხვდი ამას წინათ. ვეკითხები ლიდას "პერაშკების" გაკეთება დაავიწყდა? მეორე თანამშრომელი ვინმე გოგია, ჩემთან იყო დასახლებული, მხოლოდ საპინეთ წიგნაკში ჩაწერაღა აკლდა. შემდეგ იმ სისტემაში რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი ქარხნის დირექტორად დაინიშნა მოვცილდი თუ არა იმ სამსახურს იმანაც ამომშალა წიგნაკიდან. უგზოუკვლოდ დაიკარგა. ასეთ შემთხვევაც მახსოვს ბავშვობიდან. ჩემი ნაცნობი ვინმე შურა შავი ზღვისპირეთში/ დასვენების სახლის დირექტორად მუშაობდა, სადაც შემხვდებოდა ყოველთვის მეპატიჟებოდა. ჩამოდი შე კაცო ჩემთან ცოლშვილით საგზურიც არ გინდა ისე ჩამოდი.

მერე შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ მართლა მოვხვდი იმ დასასვენებელ სახლში ოჯახური საგზურით. მივაკითხე დირექციას. დირექტორის მოადგილემ მითხრა ამჟამად ოთახი არა გვაქვს ერთად რომ მოგათავსოთ. რამდენიმე დღე უნდა მოიცადოთ. ამ დროს მივაქციე ყურადღება კედელზე გაკრულ ბრძანებას. წავიკითხე გვარი და სახელი ემთხვევა. ეს ნაღდად შურაა.

თქვენ იცნობთ შურას? მკითხა მოადგილემ. კიდევ უკეთესი, ხვალ დილას ჩამოვა თბილისიდან მიაკითხეთ. მივაკითხე დილას. შემხვდა წარბიც არ შეუხრია, მეკითხება საქმე გაქვთ რამე ჩემთან?

– არა, ვეუზნები , შენი პორტრეტის ნახვა მომენატრა – მეტი რა უნდა მეთქვა.

მახსოვს ახალი დაწყებული მაქვს მუშაობა პარტიის რაიონულ კომიტეტში. ერთ პარტიულ სუფრაზე მოვხვდი. მერე ვხუმრობდი ქუთაისელების არ იყოს სადღეგრძელოები დანომრილი, რომ აქვთ წინდაწინ ვიცოდი ჩემი სადღეგრძელო რომელი ნომრით იქნებოდა შესმული თანამდებობის მიხედვით. მაშინ თანამდებობის პირნი ერთმანეთს სიყვარულს უხსნიდნენ, ძმობას ეფიცებოდნენ მერე ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე მათგანი გადააყენეს. ვეკითხები ერთ კოლეგას. კი მაგრამ სად არიან შენი ძმათნაფიცები დათიკო და ბორია? რატომ არ არიან ჩვენს სუფრასთან? რა უნდა ეთქვა პასუხად.

ძალიან ბევრ თანამდებობის პირს დღეს რომ დიდ ადგილზეა არ ახსოვს, ან არ უნდა გაიხსენოს სიკეთე, შენთან გატარებული დღეები, წლები. ისე უჭირავს თავი ვითომ ვიღაც უცხო პირთანა აქვს საქმე.

დღეს დიდსა თუ პატარას ენაზე ლენინის უბრალოება აკერია. თვითონ კი დილას მოკრეფილ მარწყვს შუადღისას აღარ მიირთმევენ.

ერთხელ სერგო ორჯონიკიძე და მალიშევი ყოფილან ერთერთ ქარხანაში. ერთ ცნობილ მუშას უთქვამს სერგოსთვის პარასკევს ქალიშვილის ქორწილზე, გთხოვთ გვეწვიოთ. მალიშევს დავიწყნია, სერგომ დაურეკა თურმე პარასკევს შეახსენა. მისულან საჩუქარიც მიუტანიათ. განა ჰკარგავს რამეს დიდი პიროვნება ასეთი მოქცევით.

საბედნიეროდ მეგობრებისაგან სიკეთე უფრო მეტი მახსოვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ოციოდე წლის წინათ ავად გავხდი. ექიმებმა აქ არასასიამოვნო დიაგნოზი დამისვეს. მოსკოვში გამაგზავნეს სამკურნალოდ. ერთ თვეზე მეტი დავყავი იქ. არასოდეს დამავიწყდება. მორიგეობა იყო დაწესებული. ჩამოვიდოდა ერთი საჭმელ-სანოვაგით, მთელ დღეს დაჰყოფდა ჩვენთან საავადმყოფოში. რამდენიმე დღეში მას მეორე სცვლიდა. მთელი ის განყოფილება სადაც მე ვიყავი ჩემი სანოვაგით იკვებებოდა. ამის დავიწყება არ შეიძლება.

არც იმის დავიწყება შეიძლება რაც ჩემს გამზრდელ დეიდას ჩემთვის გაუკეთებია. ბაბულია დეიდას გაკეთებული სიკეთე არც ერთ განზომილებას არ ექვემდებარება. სია ხალხისა რომელნიც გაჭირვებისას ჩემთან იყვნენ არც ისე მცირეა. მათ შორის რჩეულებიც არიან დეიდა ნონა, ბენო ბიძია, ბესარიონ კვინიხიძე, ზინა ბიცოლა, თამარა შენგელია. ბევრი მათგანი აღარ არის ამქვეყნად ცოტა ვინმე შემოგვრჩა და მათ შორის დიდაჩემი ტანჯვაგამოვლილი "ნაციმბირალი" ქალი დღესაც რომ მწყობრშია და კიდევ დამახვედრებს ხოლმე ღილაობით ცხელ ხაჭაპურს. მეგობრობა დიდი ხნის გამოცდაა. ჟამს რომ გაუძლეს და მეგობრულად დარჩნენ ასეთები საკმარისად მყავს. ჩემი ახლო ნათესავები: პეტრე ნიორაძე, ნომარ გურგენიძე, გრიშა კოპაძე, ჯუმბერ მარგველაშვილი ოთარ მოდებაძე, აგული და დათო სოხაძეები, თენგიზ ფარცხალაძე, გოგი და დათო გურეშიძეები, ვაჟა იმნაიშვილი.

ჩემი ახლო მეგობრები: სერგო ასლამაზოვი, ნოდარ ლუხუტაშვილი, პეტრე ლუტიძე, გურამ რუხაძე, ნოდარ ჩადუნელი, კუკური ჩოჩია, ნანა ჯიქია, თინა გაბელია, გოგი ფანცულაია, თენგიზ წერეთელი, გურამ გერსამია, ლულუნი კოპალეიშვილი, კობა თაბაგარი, როინ საღრაძე, გიული ქირია, იგორ ჩხეიძე, გივი ხომერიკი, თამაზ მაღრაძე, ზურაბ დუგლაძე, ზურიკო ნიორაძე, ანატოლი კისილიოვი, ანჟელა რაევსკაია. მეგობრებად ალბათ კმარა. . . ეს ის ხალხია რომლებსაც სულ არ აინტერესებს (კარგი გაგებით) სად მუშაობ და რა თანამდებობა გიჭირავს.

დღეს ასე მოიტანა სიტუაციამ, რომ ბევრი რამ თავიდან დასაწყებია. კეთილი ბატონო დავიწყოთ სანამ მოძრაობა შემიძლია კიდევ ბევრის გაკეთებას მოვასწრებ. მახსენდება ჩემი მეგობრის შალვა შოშიტაიშვილის ნათქვამი –

დააქვეითეს, უფროსად ერთი ტანმორჩილი, მაგრამ ზვიადი კაცი დაუნიშნეს. უთხრა რას მექაჩები ში კაცო შენხელა სამელნე მქონდა კაბინეტშიო. სამელნის ზომის უფროსი სამწუხაროდ ბევრია. გაძლება არ უნდა?

ივანე ჯავახიშვილსა აქვს მოხსენებული საქართველოს ისტორიაში. ერთი ქართული თქმულება ამბობს, რომ ელია ბრმა არის. იგი ღმერთს აუყვანია და დაუყენებია ცა ღრუბლის წინამძღვრად. ბრმა ელია უძღვება წინ სეტყვასა და წვიმას, რადგანაც ბრმა არის , ამტომ ველარ ხედავს ქვეყანას და ხან სად დაჰკრავს სეტყვას და ხან სადთ.

ვინ იცის რამდენი თვალხილული ელია დადის დუნიაზე ბრმა ელიას რომა ჰგავს.

თამაზ ნიორაძე

თბილისი 1986 წლის ოქტომბერი